³⁹ U.S. Department of Homeland Security, 2016. *Joint statement from the Department of Homeland Security and Office of the Director of National Intelligence on election security*, 7 October. [Online] available at: <https://www.dhs.gov/news/2016/10/07/joint-statement-department-homeland-security-and-office-director-national> [Accessed 24.04.2025].

⁴⁰ Cybersecurity & Infrastructure Security Agency, 2018. *Russian government cyber activity targeting energy and other critical infrastructure sectors - Alert (TA18-074A)*, 15 March. [Online] available at: <https://us-cert.cisa.gov/ncas/alerts/TA18-074A> [Accessed 24.04.2025].

⁴¹ Eichensehr, K., 2020. Cyberattack attribution and international law. *Just Security*, 24 July. [Online] available at: <https://www.justsecurity.org/71640/cyberattack-attribution-and-international-law> [Accessed 22.03.2025. Conclusion].

⁴² Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China, 2015. *Foreign Ministry spokesperson Hong Lei's regular press conference on June 5, 2015*, 5 June. [Online] available at: https://time.com/3910897/office-personnel-management-hack/?utm_source=chatgpt.com [Accessed 22.03.2025].

⁴³ Goodman, R., 2017. International law and the US response to Russian election interference. *Just Security*, 5 January. [Online] available at: <https://www.justsecurity.org/35999/international-law-response-russian-election-interference> [Accessed 6.05.2025. Conclusion]. Hollis, D., 2016. Russia and the DNC hack: What future for a duty of non-intervention? *Opinio Juris*, 25 July. [Online] available at: <http://opiniojuris.org/2016/07/25/russia-and-the-dnc-hack-a-violation-of-the-duty-of-non-intervention/> [Accessed 6.05.2025. Introduction].

for evaluating the legality of the countermeasures taken in response.⁴⁴

The credibility of the State providing evidence and relationship with the attributed State can affect the amount of evidence required to enable cross-checking.⁴⁵ The development of a clear legal standard requiring sufficient evidence to allow for cross-checking reduces the influence of geopolitical rivalry and reputational considerations in the attribution process. Although international law imposes obligations primarily on States, non-governmental entities engaging in attribution activities are also expected to adhere to its norms, principles and the standard for evidence-giving as well.⁴⁶ Standards for providing sufficient evidence to enable cross-checking should stay unchanged for nongovernmental attributors as well. This condition would help ensure that attributions made by non-governmental actors contribute to a common and coherent understanding of State conduct in cyberspace, thereby promoting greater stability and reducing the risk of conflict through enhanced transparency.

CONCLUSION

Attribution of cyberattacks is relevant tool to maintain stability through deterrence. Attribution serves as a mechanism for identifying and publicly condemning conduct that breaches established norms of responsible behavior in cyberspace. Nowadays, States provide some level of evidence to enable attribution, but this action comes from their domestic policies and there is no international law standards or regulations. The majority of potential evidentiary standards could eventually be governed by customary international law. However, the development of such norms requires time. The emergence of customary law depends on a consistent and widespread State practice of presenting a defined threshold of evidence to support attribution, accompanied by a sense of legal obligation (*opinio juris*) in doing so. All this process will prevent States from shifting their practices and become more consistent while making attributions. Next step for attribution should be cross-checking process and all this system will make political attributions and statements more verifiable and transparent at the same time. The latter would promote greater stability both within cyberspace and across the broader international legal order.

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Brown, G. and Poellet, K., 2012. The customary international law of cyberspace.

2. Chinkin, C., 2003. Normative development in the international legal system. In: D. Shelton, ed. *Commitment and compliance: The role of non-binding Strategic Studies Quarterly*. (in English)

⁴⁴ Compare. International Law Commission (ILC), 2001. *Draft articles on responsibility of states for internationally wrongful acts, with commentaries*. Articles 49–54, particularly Article 52.

⁴⁵ Finnemore, M. and Hollis, D., 2020. Beyond naming and shaming: Accusations and international law in cybersecurity. *European Journal of International Law*, p. 19.

⁴⁶ Rid, T. and Buchanan, B., 2015, Attributing Cyber Attacks, *Journal of Strategic Studies*, 38(1–2), pp. 14, 35.

- norms in the international legal system.* Oxford: Oxford University Press. (in English)
3. Crotoft, R., 2019. Regulating new weapons technology. In: R. Alcala and E.T. Jensen, eds. *The impact of emerging technologies on the law of armed conflict.* The Lieber Studies Series. New York: Oxford University Press. (in English)
 4. Deeks, A., 2014. An international legal framework for surveillance. *Virginia Journal of International Law.* (in English)
 5. Egan, B.J., 2017. International law and stability in cyberspace. *Berkeley Journal of International Law.* (in English)
 6. Finnemore, M. and Hollis, D., 2020. Beyond naming and shaming: Accusations and international law in cybersecurity. *European Journal of International Law.* (in English)
 7. GovCERT. ch, 2016. *APT Case Ruag: Technical Report.* MELANI: GovCERT. [Online] available at: <https://perma.cc/2XKP-4FAX> [Accessed 25.03.2025]. (in English)
 8. Government of the Netherlands, 2019. *Letter to the Parliament on the international legal order in cyberspace.* [Online] available at: <https://www.government.nl/documents/parliamentary-documents/2019/09/26/letter-to-the-parliament-on-the-international-legal-order-in-cyberspace?>> [Accessed 20.03.2025]. (in English)
 9. Green, J.A., 2009. Fluctuating evidentiary standards for self-defence in the International Court of Justice. *International and Comparative Law Quarterly.* (in English)
 10. International Law Commission, 2001. *Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, with Commentaries.* Yearbook of the International Law Commission, 2001, Vol. II, Part Two. [Online] available at: https://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/commentaries/9_6_2001.pdf [Accessed 13.05.2025]. (in English)
 11. International Law Commission, 2018. *Draft conclusions on identification of customary international law, with commentaries.* Conclusion 10. [Online] available at: <https://legal.un.org/ilc/reports/2018/2018report.pdf> [Accessed 6.05.2025]. (in English)
 12. International Law Commission (ILC), 2001. *Draft articles on responsibility of States for internationally wrongful acts, with commentaries.* (in English)
 13. Mandiant, 2013. *APT1: Exposing one of China's cyber espionage units.* [Online] available at: <https://www.fireeye.com/content/dam/fireeye-www/services/pdfs/mandiant-apt1-report.pdf> [Accessed 6.05.2025]. (in English)
 14. Mashaw, J.L., 2008. Reasoned administration: The European Union, the United States, and the practice of democratic governance. *George Washington Law Review.* (in English)
 15. Nye, J.S., 2017. Deterrence and Dissuasion in Cyberspace, *International Security*, 41(3). (in English)
 16. Rid, T. and Buchanan, B., 2015. Attributing cyber attacks. *Journal of Strategic Studies.* (in English)
 17. Schmitt, M.N., 2017. *Tallinn Manual 2.0 on the international law applicable to cyber operations.* 2nd ed. Cambridge: Cambridge University Press. (in English)
 18. Smeets, M., 2022. *No Shortcuts: Why States Struggle to Develop a Military Cyber-Force.* Oxford: Oxford University Press. (in English)
 19. Tams, C.J., 2010, *Enforcement by Measures Short of Force: Article 49*, in Crawford, J., Pellet, A. and Olleson, S. (eds.) *The Law of International Responsibility.* Oxford: Oxford University Press. (in English)
 20. Tsagourias, N. and Buchan, R., 2021. *Research Handbook on International Law and Cyberspace.* 2nd ed. Cheltenham: Edward Elgar. (in English)
 21. United Nations General Assembly, 2015. *Report of the Group of Governmental Experts on developments in the field of*

- information and telecommunications in the context of international security.* U.N. Doc. A/70/174. [Online] available at: <https://undocs.org/A/70/174> [Accessed 26.03.2025]. (in English)
22. U.N. General Assembly resolutions generally require the vote of a “majority of the members present and voting.” U.N.G.A., *Rules of procedure of the General Assembly, paras 85-86.* [Online] available at: <https://docs.un.org/en/A/520/Rev.19> [Accessed 8.04.2025]. (in English)
 23. U.S. Department of Justice, 2025. Principles of federal prosecution. *Justice Manual.* [Online] available at: <https://www.justice.gov/jm/jm-9-27000-principles-federal-prosecution> [Accessed 7.05.2025]. (in English)
- have been targeted by state-sponsored actors: Attribution and evidence of state-sponsored cyberattacks. *Just Security.* [Online] available at: <https://www.justsecurity.org/28731/your-account-targeted-state-sponsored-actors-attribution-evidence-state-sponsored-cyberattacks> [Accessed 6.05.2025]. (in English)
5. Goodman, R., 2017. International law and the US response to Russian election interference. *Just Security.* [Online] available at: <https://www.justsecurity.org/35999/international-law-response-russian-election-interference> [Accessed 6.05.2025]. (in English)
 6. Grigsby, A., 2018. The United Nations doubles its workload on cyber norms, and not everyone is pleased. *Council on Foreign Relations.* [Online] available at: <https://www.cfr.org/blog/united-nations-doubles-its-workload-cyber-norms-and-not-everyone-pleased> [Accessed 4.05.2025]. (in English)
 7. Group of Governmental Experts, 2025. U.N. Office for Disarmament Affairs. [Online] available at: <https://www.un.org/disarmament/group-of-governmental-experts> [Accessed 4.05.2025]. (in English)
 8. Hollis, D., 2016. Russia and the DNC hack: What future for a duty of non-intervention? *Opinio Juris.* [Online] available at: <http://opiniojuris.org/2016/07/25/russia-and-the-dnc-hack-a-violation-of-the-duty-of-non-intervention/> [Accessed 6.05.2025]. (in English)
 9. Korzak, E., 2017. UN GGE on cybersecurity: The end of an era? *Diplomat.* [Online] available <https://www.rug.nl/cf/onderzoek-gscf/research/research-centres/dataresearchcentre/pdfs/351564-okp-blog-post2.pdf> [Accessed 6.05.2025]. (in English)
 10. Ministry of Foreign Affairs of the People's

Internet Resources:

1. Cybersecurity & Infrastructure Security Agency, 2018. *Russian government cyber activity targeting energy and other critical infrastructure sectors - Alert (TA18-074A)*, 15 March. [Online] available at: <https://us-cert.cisa.gov/ncas/alerts/TA18-074A> [Accessed 24.04.2025]. (in English)
2. Eichensehr, K., 2020. Cyberattack attribution and international law. *Just Security.* [Online] available at: <https://www.justsecurity.org/71640/cyberattack-attribution-and-international-law> [Accessed 22.03.2025]. (in English)
3. Eichensehr, K., 2020. The law and politics of cyberattack attribution. *U.C.L.A. Law Review.* Advisory Council of International Affairs, 2011. *Cyber warfare.* AIV/ 22. [Online] available at: <https://www.advisorycouncilinternationalaffairs.nl/documents/publications/2011/12/16/cyber-warfare> [Accessed 26.03.2025]. (in English)
4. Eichensehr, K., 2016. Your account may

- Republic of China, 2015. *Foreign Ministry spokesperson Hong Lei's regular press conference on June 5, 2015*. [Online] available at: https://time.com/3910897/office-personnel-management-hack/?utm_source=chatgpt.com [Accessed 22.03.2025]. (in English)
11. Moynihan, H., 2019. *The Application of International Law to State Cyberattacks: Sovereignty and Non-Intervention*. London: Chatham House. [Online] available at: <https://www.chathamhouse.org/2019/12/application-international-law-state-cyberattacks/7-conclusions-and-recommendations> [Accessed 6.05.2025] (in English)
 12. Nakashima, E., 2016. Cyber researchers confirm Russian government hack of Democratic National Committee. *Washington Post*. [Online] available at: https://www.washingtonpost.com/world/national-security/cyber-researchers-confirm-russian-government-hack-of-democratic-national-committee/2016/06/20/e7375bc0-3719-11e6-9ccd-d6005beac8b3_story.html [Accessed 20.03.2025]. (in English)
 13. Nessa, J.J., 2019. Self-defense in international law: What level of evidence? *Just Security*. [Online] available at: <https://www.justsecurity.org/64796/self-defense-in-international-law-what-level-of-evidence/> [Accessed 4.05.2025]. (in English)
 14. Open-Ended Working Group, 2025. *U.N. Office for Disarmament Affairs*. [Online] available at: <https://www.un.org/disarmament/open-ended-working-group> [Accessed 4.05.2025]. (in English)
 15. United Kingdom's National Cyber Security Centre (NCSC), Canada's Communications Security Establishment (CSE) and United States' National Security Agency (NSA), 2020. *Advisory: APT29 targets COVID-19 vaccine development*. [Online] available at: <https://www.ncsc.gov.uk/news/advisory-apt29-targets-covid-19-vaccine-development> [Accessed 3.04.2025]. (in English)
 16. U.S. Department of Homeland Security, 2016. *Joint statement from the Department of Homeland Security and Office of the Director of National Intelligence on election security*. [Online] available at: <https://www.dhs.gov/news/2016/10/07/joint-statement-department-homeland-security-and-office-director-national> [Accessed 24.04.2025]. (in English)
 17. Wright, J., 2018. Cyber and international law in the 21st century. *UK Government*. [Online] available at: <https://www.gov.uk/government/speeches/cyber-and-international-law-in-the-21st-century> [Accessed 20.03.2025]. (in English)

Judicial Practice:

1. Addington, v. Texas, 441 U.S. 418, 425 (1979). (in English)
2. International Court of Justice, 2007, Case Concerning the Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro), Judgment of 26 February 2007, I.C.J. Reports 2007. (in English)
3. International Court of Justice, 2007. Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro), Judgment. (in English)

თამბაქოს კონტროლის სამართლებრივი დინამიკა: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს გამოწვევები

თენგიზ ვერულავა

მედიცინის დოქტორი, ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის პროფესორი, საქართველო, თბილისი
ელ. ფოსტა tverulava@cu.edu.ge

აბსტრაქტი

სტატია იკვლევს სასამართლო პრაქტიკის როლს თამბაქოს კონტროლის საერთაშორისო და ეროვნული პოლიტიკის ფორმირებაში. გაანალიზებულია წარმატებული საერთაშორისო მაგალითები, რომლებიც აჩვენებს სამართლებრივი მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას როგორც ინდუსტრიის პასუხისმგებლობის დაკისრების, ისე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით. ამ კონტექსტში განხილულია საქართველოც, როგორც ქვეყანა, რომელმაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა თამბაქოს კონტროლის რეგულაციით გაუმჯობესების მიმართულებით, თუმცა სასამართლო ინსტრუმენტები ინდუსტრიის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის ათვისებული. სტატიის ძირითადი აზრებია, რომ სამართლებრივი ბერკეტების გააქტიურება, განსაკუთრებით ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (FCTC) მე-19 მუხლის ფარგლებში, მნიშვნელოვანწილად გააძლიერებს როგორც ინდუსტრიის ანგარიშვალდებულებას, ისე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს. რეკომენდებულია საქართველოს სამართლებრივ და სახელმწიფო ინსტიტუტებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო პარტნიორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, რათა ჩამოყალიბდეს მყარი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც თამბაქოს ინდუსტრიის ქმედებებს აქცევს სასამართლო კონტროლის საგნად და უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მდგრადი იურიდიული სისტემის განმტკიცებას.

საკვანძო სიტყვები: სასამართლო დავები, თამბაქოს ინდუსტრია, თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენცია

LITIGATION IN TOBACCO CONTROL: PAST, PRESENT, AND FUTURE

Tengiz Verulava

Doctor of Medicine, Head of Health Policy Institute, Professor of the Business School at Caucasus University, Georgia, Tbilisi

Email: tverulava@cu.edu.ge

თეზიზი ვერულავა

ABSTRACT

This article explores the role of litigation in shaping both international and national tobacco control policies. It analyzes successful international case studies that demonstrate the effective use of legal mechanisms to hold the tobacco industry accountable and to strengthen public health protection. Within this context, the article also considers Georgia's experience - a country that has taken significant steps to improve tobacco control regulations but has yet to utilize legal instruments to establish industry liability fully. The central argument of the article is that activating legal tools, particularly under Article 19 of the WHO Framework Convention on Tobacco Control (FCTC), can significantly enhance both industry accountability and the legal mechanisms for protecting public health. The article recommends enhanced collaboration between Georgia's legal and governmental institutions, civil society, and international partners to develop a robust legal framework. This framework would subject the tobacco industry's actions to judicial scrutiny and reinforce a sustainable legal system for safeguarding public health.

KEYWORDS: litigation, tobacco industry, Framework Convention on Tobacco Control (FCTC)

შესავალი

თანამედროვე ეპოქაში თამბაქოს ინდუსტრია ისევ რჩება ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კომერციულ ძალად, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობას. ქვეყნები მიმართავენ სამართლებრივ გზებს როგორც პრევენციული ზომების დასაცავად, ისე ინდუსტრიის პასუხისმგებლობის განსაზღვრად. საერთაშორისო გამოცდილება ცხადად აჩვენებს, რომ სასამართლო დავები გახდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მძლავრი ინსტრუმენტი, მათ შორის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (FCTC) მე-19 მუხლის სახით.¹

ბოლო 30 წლის განმავლობაში თამბაქოსთან დაკავშირებული სამართლებრივი დავები მნიშვნელოვნად შეიძვალა. ამ ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია თამბაქოს კონტროლის სამართლებრივი დავების ინტერნაციონალიზაცია. თამბაქოს კონტროლის სამართლებრივ დავაში წამოიჭრება ისეთი გლობალურად მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: თამბაქოს კომპანიების მიერ ახალი კანონებისა და რეგულაციების შეჩერების მცდელობები; სამოქალაქო საზოგადოების მიერ წამოწყებული საჯარო ინტერესის დავები; მაღალი სტანდარტების უზრუნველსაყოფად თამბაქოს ინდუსტრიის წინააღმდეგ საქმის აღძვრა.

სასამართლო საქმეები პირდაპირ ეყრდნობიან თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო შეთანხმებას თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის მე-19 მუხლის სახით. ასეთი საქმეები მხოლოდ ერთი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში აღარ რჩება. ისინი ხშირად განიხილება

საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, მაგალითად, ვაჭრობის, ინვესტიციების ან ადამიანის უფლებების კუთხით. იურისტები სხვადასხვა ქვეყნიდან ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ და საერთო სტრატეგიებს აყალიბებენ, რაც ამ პროცესს გლობალურ ხასიათს ანიჭებს.

საქართველო ფორმალურად მიჰყვება თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (FCTC) მე-19 მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებებს, თუმცა ინდუსტრიის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიმართულებით მოქმედი მექანიზმები ჯერ კიდევ არასაკმარისად არის გამოყენებული.

კვლევის მიზანია გააანალიზოს თამბაქოს კონტროლის სფეროში სასამართლო პრაქტიკის როლი და გამოიკვლიოს სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობები, მათ შორის ინდუსტრიის პასუხისმგებლობის დაკისრების, სასამართლო ინსტრუმენტების გაძლიერებისა და საერთაშორისო ჩარჩო კონვენციებთან შესაბამისობის კონტექსტში.

კვლევის ამოცანებია: საერთაშორისო წარმატებული პრაქტიკის მიმოხილვა თამბაქოს ინდუსტრიის წინააღმდეგ სამართლებრივი დავების მიმართულებით და თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის ანალიზი და მისი სამართლებრივი მნიშვნელობის შეფასება.

კვლევა ეფუძნება ნორმატიულ-დოგმატურ ანალიზს, შედარებით-სამართლებრივ მიდგომასა და დოკუმენტური კვლევის მეთოდს. მის ფარგლებში გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და თეორიულ-ანალიტიკური ლიტერატურა, რომლებიც იძლევა თამბაქოს კონტროლის სამართლებრივი რეგულაციების შეფასების შესაძლებლობას.

1

WHO Framework Convention on Tobacco Control. World Health Organization 2003. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://iris.who.int/bitstream/handle/10665/42811/9241591013.pdf?sequence=1>> [წვდომის თარიღი 15.05.2025].

1. თამბაქოს კონტროლის სფეროში მიმდინარე სამართლებრივი დისკურსი

თამბაქოს კონტროლის სფეროში სამართლებრივი დავები სამი ძირითადი სახისაა:

სამართლებრივი გამოწვევები თამბაქოს ინდუსტრიის მხრიდან – ეს არის სასამართლო პროცესები, რომლებსაც თამბაქოს კომპანიები აწარმოებენ იმისთვის, რომ ხელი შეუშალონ მთავრობის მიერ მიღებულ რეგულაციებს, მაგალითად: მოწვევის აკრძალვას საჯარო სივრცეში ან თამბაქოს შეფუთვის გამკაცრებულ წესებს. მათი მიზანია რეგულაციების დაბლოკვა, შეჩერება ან შემსუბუქება.

საჯარო ინტერესის სარჩელები – ასეთ სარჩელებს ძირითადად მოქალაქეები ან არასამთავრობო ორგანიზაციები იწყებენ, რათა ხელისუფლება აიძულონ ეფექტურად განახორციელოს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკა. მაგალითად, თუ მთავრობა არ ასრულებს ვალდებულებას, რომელიც მოქალაქეების ჯანმრთელობას იცავს, შეიძლება საზოგადოებამ სასამართლოს მიმართოს, რომ ეს შესრულდეს.

პასუხისმგებლობის სარჩელები თამბაქოს ინდუსტრიის წინააღმდეგ – ამ სარჩელების მიზანია თამბაქოს კომპანიებს მოეთხოვოს პასუხი მათი ქმედებების გამო, როგორიცაა მავნე პროდუქტის რეკლამა ან ზიანის მიყენება მომხმარებლის ჯანმრთელობისათვის. ასეთი სარჩელებით ხშირად ითხოვენ, რომ თამბაქოს კომპანიებმა აუნაზღაურონ ზიანი – როგორც ინდივიდუალურ პირებს, რომლებსაც თამბაქომ ჯანმრთელობა დაუზიანა, ისე სახელმწიფოს, რომელმაც დიდი თანხები დახარჯა ამ ადამიანების სამკურნალოდ.

აღნიშნული სამივე მიმართულება ნათლად აჩვენებს, როგორ იმოქმედა გლობალურმა ჩარჩოებმა, განსაკუთრებით თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო შეთანხმებამ, თამბაქოს კონტროლის სამართლებრივი დავების განვითარებაზე ბოლო ათწლეულების განმავლობაში და, როგორ გაიზარდა სასამართლო დავების მნიშვნელობა თამბაქოს კონტროლის გაძლიერების თვალსაზრისით.

ბოლო წლებში თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული დავების მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება იმ სამართლებრივი გამოწვევებისგან, რომლებიც თამბაქოს ინდუსტრიამ წამოიწყო კანონის მიღების თავიდან ასაცილებლად, მის შესაფერხებლად ან შესასუსტებლად. ვებსაიტზე tobaccocontrol.org დაფიქსირებულია თითქმის 300 სამართლებრივი საქმე, რომლებიც მთავრობის მიერ მიღებული ზომების წინააღმდეგ იქნა შეტანილი მას შემდეგ, რაც თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო შეთანხმება (WHO FCTC) ძალაში შევიდა 2005 წელს.²

ეს ნაწილობრივ ასახავს იმ პროგრესს, რომელიც ბევრმა ქვეყანამ თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირების შემდეგ თამბაქოს კონტროლის ზომების დაწესებაში განიცადა. თამბაქოს ინდუსტრიამ საპასუხოდ სამართლებრივი დავა გამოიყენა, როგორც სტრატეგიის ნაწილი, რათა ხელი შეეშალო ამ კანონებისა და რეგულაციების განხორციელებისთვის.³ ხშირად ასეთი სასამართლო დავების უკან იმალება მიზანი: დაახარჯონ სახელმწიფოს დრო და ფული, დააფრთხონ სხვა ქვეყნები მსგავსი რეგულაციების მიღებისგან ან

² Craig, L. and others, 2019. Impact of the WHO FCTC on tobacco control: perspectives from stakeholders in 12 countries. Tobacco Control. 28(Suppl 2), გვ.129-135.

³ Cunningham, R., 2022. Tobacco package health warnings: a global success story. Tobacco Control. 31(2), გვ. 272-283.

მაქსიმალურად გააძვირონ ახალი კანონის განხორციელება.

ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი სასამართლო საქმე იყო, სადაც მოსამართლეებმა უარი თქვეს თამბაქოს ინდუსტრიის საჩივრებზე და დაადასტურეს, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება, მოქალაქეების ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვან პრიორიტეტად მიიჩნიოს, ვიდრე კომპანიების ფინანსური ინტერესები.

1.1. პასუხისმგებლობის სარჩელები

პასუხისმგებლობის სარჩელები მიზნად ისახავს თამბაქოს ინდუსტრიის პასუხისმგებლობის განსაზღვრას თამბაქოს პროდუქტების მავნე ზეგავლენაზე, მათ შორის ჯანმრთელობის დაზიანებასა და სიკვდილიანობაზე. ამ კატეგორიის ყველაზე ცნობილი მაგალითებია კოლექტიური სარჩელები, რომელთა მეშვეობითაც ინდივიდები ან სახელმწიფო სტრუქტურები მოითხოვენ კომპენსაციას თამბაქოს ინდუსტრიის მიერ მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის გამო.

ამ ტიპის სარჩელის ყველაზე მასშტაბური შედეგი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1998 წელს დაფიქსირდა, როდესაც შტატებსა და ოთხ წამყვან თამბაქოს კომპანიას შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ ინდუსტრიას მრავალი მილიარდი დოლარის გადახდა დააკისრა — როგორც ზიანის ანაზღაურების სახით, ასევე თამბაქოს კონტროლის პროგრამების დაფინანსებისთვის.

დღესდღეობით მსგავსი სარჩელები წამოიწიეს კანადაში, საფრანგეთში, ბრაზილიასა და სხვა ქვეყნებში. მაგალითად, 2019 წელს ბრაზილიის ფედერალურმა მთავრობამ უჩივლა თამბაქოს კომპანიებს სამედიცინო ხარჯების ანაზღაურების მო-

თხოვნით, რომელიც ქვეყანამ ტვირთად მიიღო თამბაქოსთან დაკავშირებული დაავადებების მკურნალობისთვის.

ასეთი სარჩელები ხშირად აჩვენებს, რომ თამბაქოს ინდუსტრია მრავალი წლის განმავლობაში ფლობდა ინფორმაციას თამბაქოს მავნებლობის შესახებ, თუმცა აგრძელებდა მავნე პროდუქტების წარმოებას, რეკლამირებას და გაყიდვას. შესაბამისად, პასუხისმგებლობის სარჩელებს შეუძლიათ, შეასრულონ როგორც კომპენსაციის ფუნქცია, ასევე პრევენციული ფუნქცია — კერძოდ, მომავალში ინდუსტრიის ქმედებების გაკონტროლების მექანიზმად იმოქმედონ.

1.2. ვაჭრობა და ინვესტიციები

ბოლო ათწლეულში განსაკუთრებით გამოიკვეთა, რომ თამბაქოს კონტროლის ზომების წინააღმდეგ სამართლებრივი დავები ხშირად ვაჭრობისა და ინვესტიციების საერთაშორისო მექანიზმებით მიმდინარეობს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით აშკარაა ავსტრალიასა და ურუგვაის მაგალითზე, რომლებიც საერთაშორისო სარჩელების სამიზნე გახდნენ თამბაქოს ერთფეროვანი შეფუთვისა და დიდფორმატიანი გრაფიკული გაფრთხილებების გამო.⁴

მანამდე უკვე არსებობდა რამდენიმე სავაჭრო დავა, მაგალითად, აშშ-ის მიერ დაწყებული პროცესი ტაილანდში სიგარეტის იმპორტის აკრძალვის წინააღმდეგ ან ინდონეზიის მიერ აშშ-ის არომატიზებული სიგარეტის აკრძალვის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი.⁵ თუმცა, ინდონეზიის სარჩელი არ ეხებოდა აშშ-ში წარმოებულ მენტოლის სიგარეტს, რაც უთანასწორო მოპყრობის ეჭვს აჩენდა.

თუმცა ავსტრალიისა და ურუგვაის მიერ მიღებული ზომები იმით იყო განსხვავებული,

⁴ შეადარე. Puig, S., 2016. Tobacco litigation in international courts. Harv. Int'l LJ. 57, გვ.383.

⁵ Boonrawd, K., 2017. Problems of collecting tax of imported tobacco in Thailand under the exception of world trade organization.

რომ ამ შემთხვევებში იურიდიული დავა შეეხებოდა არა იმას, ექცეოდა თუ არა უცხოური და ადგილობრივი პროდუქტი თანაბარ პირობებში, არამედ თავად რეგულაციების არსსა და დასაბუთებას.

ახალი ტიპის სამართლებრივი გამოწვევები უშუალოდ ეჭვქვეშ აყენებდნენ ავსტრალიისა და ურუგვაის თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების სამეცნიერო საფუძველს და ამტკიცებდნენ, თითქოს ეს ზომები წინააღმდეგობაში მოდიოდა საერთაშორისო ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან. ეს სამართლებრივი სტრატეგია მიზნად ისახავდა სხვა ქვეყნების შემინებას მსგავსი ზომების მიღებისგან და შეიცავდა საერთაშორისო დონეზე ხარჯიანი სასამართლო დავების მუქარას.

ამ სარჩელებმა წინა პლანზე წამოსწიეს ფუნდამენტური კითხვები ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერესებს შორის არსებულ დაძაბულობაზე — კერძოდ, რამდენად აქვთ სახელმწიფოებს თავისუფლება, გაატარონ თამბაქოს კონტროლის ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სიცოცხლის გადარჩენასა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

ყველა ის სამართლებრივი სარჩელი, რომლებიც ავსტრალიისა და ურუგვაის ზომების წინააღმდეგ იყო წარდგენილი, საბოლოოდ უარყვეს სასამართლოებმა — რაც ისტორიული მოვლენაა როგორც თამბაქოს კონტროლის, ასევე ზოგადად საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ვაჭრობის რეგულირების კუთხით.

ავსტრალიის შემთხვევაში - სარჩელები ერთფეროვანი შეფუთვის წინააღმდეგ წარდგენილი იყო: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO), ავსტრალია-ჰონგ კონგის 1993 წლის ორმხრივი საინვესტიციო

შეთანხმების ფარგლებსა და ავსტრალიის უმაღლეს სასამართლოში. ყველა ეს საქმე ავსტრალიის სასარგებლოდ გადაწყდა⁶.

ურუგვაის შემთხვევაში - შვეიცარია-ურუგვაის 1988 წლის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა სრულად უარყო ფილიპ მორისის კომპანიების და მათი ურუგვაული შვილობილის სარჩელი.⁷

ამ სავაჭრო და საინვესტიციო დავებმა მნიშვნელოვანი სიცხადე შეიტანეს იმაში, თუ რა სივრცე აქვთ სახელმწიფოებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დასაცავად მოქმედებისას საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეკრულებების ფარგლებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა დაადასტურეს: სავაჭრო ნიშნების კანონები და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები არ უშლის ხელს შეფუთვისა და მარკირების რეგულაციას ან რეკლამის აკრძალვას. სავაჭრო ნიშანი მხოლოდ აძლევს მფლობელს უფლებას, აიცილოს მისი ქონების დარღვევა მესამე პირებისგან, მაგრამ არ აძლევს უფლებას, სახელმწიფოს აუკრძალოს ამ ნიშნის გამოყენების რეგულირება.

ასევე აღსანიშნავია, რომ ამ სარჩელებმა მნიშვნელოვანი შეტყობინებები გაავრცელეს თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის წინააღმდეგ. მათ შორის იყო: ინდუსტრიის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების უარყოფა ან კრიტიკა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის მნიშვნელობის ხაზგასმა და იმის დადასტურება, რომ რესურსების შეზღუდვის პირობებში ქვეყნებს შეუძლი-

⁶ შეადარე. Kennedy, M. S., 2013. Australia's tobacco plain packaging act: convergence of public health and global trade. NCJ Int'l L. & Com. Reg. 39, გვ. 591.

⁷ შეადარე. Mercurio, B., 2012. Awakening the sleeping giant: intellectual property rights in international investment agreements. Journal of International Economic Law. 15(3), გვ. 871-915.

ათ დაეყრდნონ სხვა ქვეყნების გამოცდილებას, საკუთარი მონაცემების ნაცვლად.⁸

1.3. სასამართლო პროცესების როლი თამბაქოს კონტროლის პოლიტიკაში

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში გაჩენილი დავები ხშირად იპყრობს ყველაზე დიდ საზოგადოებრივ ყურადღებას, სასამართლოებში მიმდინარე სასამართლო დავები თამბაქოს კონტროლის სფეროში კვლავ რჩება სამართლებრივი გამოწვევების ყველაზე გავრცელებულ ფორმად. ამ შემთხვევაშიც არაერთპრეცედენტულ საქმეს აქვს ადგილი, სადაც უარყვეს თამბაქოს ინდუსტრიის არგუმენტები და დადასტურდა სახელმწიფოს უფლება, მიიღოს და განახორციელოს თამბაქოს კონტროლის ზომები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის თანახმად.

მოცემულ კონტექსტში საგულისხმოა სამართლებრივი დავების რამდენიმე მნიშვნელოვანი მაგალითის ანალიზი, რომლებიც ასახავს ინდუსტრიის წინააღმდეგ გამოყენებული იურიდიული მექანიზმების არსსა და ეფექტიანობას.

2019 წელს კენიის უზენაესმა სასამართლომ უარყო ბრიტანულ-ამერიკული თამბაქოს კომპანიის სარჩელი, რომელიც მიმართული იყო თამბაქოს კონტროლის რეგულაციების წინააღმდეგ. სასამართლომ დაასკვნა, რომ კანონშემოქმედებით პროცესში ბრიტანულ-ამერიკული თამბაქოს კომპანიის პროცედურული უფლებები არ დარღვეულა; რომ ინტერესთა კონფლიქტის

რეგულაციები არ იყო დისკრიმინაციული, რადგან საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის დაცვა თამბაქოს ინდუსტრიის ზეგავლენისგან გონივრული და დასაშვებია; არ აღმოჩნდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევა; რომ არსებობდა მყარი სამართლებრივი საფუძველი, რათა თამბაქოს კომპანიებს ფინანსური წლის განმავლობაში წარმოებული ან იმპორტირებული პროდუქციის ღირებულების 2% გადაეხადათ თამბაქოს კონტროლის ფონდში.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო უგანდის საკონსტიტუციო სასამართლომაც, რომელმაც უარყო ბრიტანულ-ამერიკული თამბაქოს კომპანიის სარჩელი თამბაქოს კონტროლის კანონის წინააღმდეგ.⁹ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სასამართლოს მიერ ხაზგასმული გარემოება, რომ კანონი ემსახურება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დაცვის განმტკიცებას. სასამართლომ ბრიტანულ-ამერიკული თამბაქოს კომპანიის სარჩელი შეაფასა, როგორც თამბაქოს ინდუსტრიის გლობალური ტაქტიკის ნაწილი — გამოიყენოს სამართლებრივი დავები სახელმწიფოებზე ზეწოლის მოხდენისა და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის შეფერხების მიზნით.

რამდენიმე ქვეყანამ გამარჯვება მოიპოვა თამბაქოს ნაწარმზე დიდი გრაფიკული გაფრთხილებების დაკანონების საკითხში. თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო შეთანხმების მე-11 მუხლის ფარგლებში. ტაილანდში უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თამბაქოს ინდუსტრიის მოთხოვნა ამ

⁸ შეადარე. Brenya, E., 2012. Trans-border advocacy network in tobacco control: the adoption of WHO-FCTC best practices into domestic laws in Ghana and Malawi. West Virginia University. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.proquest.com/openview/2bcb6cad15b0968040d10073a654da0d/1?pq-origsite=gscholar&cbl=18750>> [წვდომის თარიღი 15.05.2025].

⁹ Jarman, H., 2019. Normalizing tobacco? The politics of trade, investment, and tobacco control. The Milbank Quarterly. 97(2), გვ. 449-479.

რეგულაციების შეჩერების თაობაზე არ იყო საფუძვლიანი, რეგულაციები კანონის ფარგლებს არ სცდებოდა და მიზნად ისახავდა მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის დაცვას.¹⁰

შრილანკაში სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა გრაფიკული გაფრთხილებების გამოყენების რეგულაციებს და საერთაშორისო მტკიცებულებებს დაეყრდნო, რომლებიც მათი ეფექტიანობის დასადასტურებლად იყო წარმოდგენილი. სასამართლომ აღნიშნა, რომ იხელმძღვანელა „გლობალური ხედვით“, რაც ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ გრაფიკული გაფრთხილებები ფართოდ არის მიღებული და დანერგილი მთელ მსოფლიოში. გადაწყვეტილებაში საზგასმით იყო გამოყენებული როგორც თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო შეთანხმება, ისე მე-11 მუხლის სახელმძღვანელო პრინციპები და სასამართლომ დაასკვნა, რომ შრილანკის სამართალი საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობაში უნდა იყოს განმარტებული.

ევროპაშიც თამბაქოს ინდუსტრიის მიერ წარდგენილი წარუმატებელი სამართლებრივი გამოწვევა ევროკავშირის თამბაქოს პროდუქტების ღირებულების წინააღმდეგ ხელს უწყობდა არა მხოლოდ ღირებულებით გათვალისწინებული გრაფიკული გაფრთხილებების შენარჩუნებას, არამედ შექმნა სამართლებრივი საფუძველი, რათა ბევრ ევროპულ ქვეყანას თამბაქოს ერთფეროვანი შეფუთვა დაენერგა.

ზემოაღნიშნული შემთხვევები მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მათ ხელი შეუწყვეს თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის განვითარებას და ისეთი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რომელიც

ამყარებს პრინციპს: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა უნდა წარმოადგენდეს უპირატესობას თამბაქოს ინდუსტრიის კომერციულ ინტერესებზე. ამავდროულად, აღნიშნული შემთხვევები ხელს უწყობს ჯანმრთელობის უფლების სამართლებრივ ინტერპრეტაციას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ უფლების დაცვაზე სხვა კონტექსტებშიც.¹¹

2. საჯარო ინტერესი დაფუძნებული სარჩელები

თამბაქოს კონტროლის სფეროში სასამართლო დავების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა საჯარო ინტერესის სარჩელები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებისა და ზოგჯერ კერძო პირების ინიციატივით დგება. ეს სარჩელები მიზნად ისახავს თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის გაძლიერებას ან მის უკეთ აღსრულებას. ზოგ შემთხვევაში, ისინი სახელმწიფოს აიძულებენ შეასრულოს საკუთარი კანონები ან საერთაშორისო ვალდებულებები.

საჯარო ინტერესის სარჩელებმა განსაკუთრებული როლი ითამაშა ისეთ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება ვერ ახორციელებს თამბაქოს კონტროლის ზომებს სათანადოდ ან თვალს ხუჭავს ინდუსტრიის ზეწოლაზე. სასამართლო სისტემაში მიმართვით სამოქალაქო საზოგადოება სასამართლოს საშუალებით ცდილობს სახელმწიფო აიძულოს, იმოქმედოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დასაცავად.

მაგალითად, ინდოეთში სასამართლო პროცესებმა, რომლებიც სამოქალაქო აქტივისტების ან არასამთავრობო ორგა-

¹⁰ შეადარე. Patanavanich, R. and Glantz, S., 2021. Successful countering of tobacco industry efforts to overturn Thailand's ENDS ban. Tobacco Control. 30(e1), e10-e19.

¹¹ შეადარე. Petersmann, E. U., 2015. How to reconcile Health Law and Economic Law with human rights? Administration of justice in tobacco control disputes. Asian J. WTO & Int'l Health L & Pol'y. 10, 83. 27.

ნიზაციების მიერ იქნა წამოწყებული, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თამბაქოს პროდუქტების რეკლამის შეზღუდვასა და საზოგადოებრივი ადგილებიდან მოწვევის ამოღებაში. მსგავსად, ბრაზილიაში, კენიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სასამართლოებმა მხარი დაუჭირეს მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებული იყო მოწვევის აკრძალვის, გაფრთხილების ეტიკეტების და ახალგაზრდებისთვის თამბაქოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან.

ასეთი ტიპის დავები ხაზს უსვამს იმას, რომ სასამართლოები შეიძლება იქცნენ ძლიერ ინსტრუმენტებად, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ვალდებულების შესრულებას.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სარჩელები რაოდენობრივად ნაკლებია, ვიდრე თამბაქოს ინდუსტრიის მიერ ინიცირებული სამართლებრივი დავები, მრავლად მოიძებნება მაგალითები, როცა სამოქალაქო საზოგადოება სასამართლოს მიმართავს თამბაქოს კონტროლის უფრო მაღალი სტანდარტების დაწესების მოთხოვნით. ასეთი საქმეები, როგორც წესი, ორ ძირითად ფორმას იღებს: იმ ქვეყნებში, სადაც საერთაშორისო ხელშეკრულებები უშუალოდ მოქმედებს შიდა სამართლებრივ სივრცეში, სამოქალაქო საზოგადოება სარჩელებით ცდილობს, სახელმწიფოს დაავალოს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (FCTC) შესრულება. სხვა შემთხვევაში კი არგუმენტაცია ეფუძნება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებებს, რომლებიც სახელმწიფოს ავალდებულებს განახორციელოს თამბაქოს კონტროლის ეფექტიანი ზომები.

რაც შეეხება უშუალოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის გამო-

ყენებას, ნიდერლანდებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა სარჩელი შეიტანეს იმ საფუძვლით, რომ ქვეყნის თამბაქოს კონტროლის კანონი არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ვინაიდან ცალკეულ საჯარო სივრცეებში მოწვევაზე დაშვებული გამონაკლისები წინააღმდეგობაში მოდიოდა იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციასთან, რომელიც 100%-ით თამბაქოსგან თავისუფალ გარემოს ითხოვს. უმაღლესმა და ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა დაავალეს ხელისუფლებას, შეეცვალა კანონი ისე, რომ არ არსებობდეს გამონაკლისები. სასამართლომ დაადგინა, რომ მე-8 მუხლის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს იმ სახელმძღვანელოს საფუძველზე, რომელიც ეფექტიანად მიიჩნევს მხოლოდ სრულიად თამბაქოსგან თავისუფალ გარემოს. აღნიშნულმა საქმემ დაადასტურა, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის სახელმძღვანელოები არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ სამართლებრივი ინტერპრეტაციის მნიშვნელოვანი წყაროა.

ადამიანის უფლებების კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია ინდოეთის უმაღლესი სასამართლოს მიერ 2001 წელს განხილული საქმე Murli S. Deora, რომლითაც დადგინდა, რომ სახელმწიფოს ევალება უზრუნველყოს თამბაქოსგან თავისუფალი გარემო, რადგან საზოგადოებრივ სივრცეებში მოწვევა არღვევს სიცოცხლის უფლებას.¹² ამჟამად, ინდოეთის ეროვნულ ეკოლოგიურ ტრიბუნალში მიმდინარეობს განხილვა საქმეზე, რომლის მთავარი არგუმენტია, რომ სიგარეტის ნაწილისგან გამოწვეული გარემოს დაბინძურების დაურეგულირებლობა ეწინააღმდეგება გარემოსდაცვით კანონმდებლობას.

საზოგადოებრივი ინტერესის სარჩელები ადამიანის უფლებების სამართლებრივი

¹² შეადარე. Mishra, M., 2023. Murli S. Deora v Union of India-Navigating the Legal and Public Health Landscape of Smoking. Jus Corpus LJ. 4, გვ.25.

მექანიზმების გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს. მაგალითად, ზემოთ განხილულ უგანდის შემთხვევაში, რომელშიც ბრიტანულ-ამერიკულითამბაქოსკომპანია უსაჩივრებდა თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობას, რათა სამოქალაქო ორგანიზაცია „ჯანდაცვის, ადამიანის უფლებებისა და განვითარების ცენტრი“ ჩაერთო პროცესში და სასამართლოს წარუდგინა არგუმენტები, რომ აღნიშნული კანონი ემსახურება ჯანმრთელობის უფლების განხორციელებას. მსგავსი სტრატეგიით აქტივისტები ჩაერთვნენ სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედ ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტების საქმიანობაშიც, მაგალითად, არგენტინაში, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის წევრი არ არის, თუმცა, ქალთა და თამბაქოს კონტროლის ორგანიზაციებმა ერთობლივად წარადგინეს მოხსენება, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო ვერ იცავს ქალთა ჯანმრთელობის უფლებებს, რადგან არ აკონტროლებს სქესზე მორგებულ თამბაქოს რეკლამას.¹³

3. თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის მე-19 მუხლის შესაბამისად ინიცირებული სარჩელები

თამბაქოს ინდუსტრიის წინააღმდეგ სამართლებრივი დავები თამბაქოს კონტროლის სფეროში წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი იურიდიული მექანიზმი იყო. მსგავსი სამართლებრივი პროცესების მაგალითებია: აშშ-ში საჯარო ჯანდაცვის ხარჯების ანაზღაურების მიზ-

ნით წამოწყებული სარჩელები, რომლებმაც გამოიწვია ე.წ. “მასტერ შეთანხმება” (Master Settlement Agreement) - ძირითადი მწარმოებლების ვალდებულება, აანაზღაურონ შტატებისთვის თამბაქოსთან დაკავშირებული დაავადებების ხარჯები; ასევე აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ წარდგენილი სარჩელი, რომელიც ინდუსტრიას საჯაროდ სიცრუის გავრცელებისთვის ასამართლებდა; და სხვა — კერძო პირების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დაყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელები, რომლებიც მოიცავდა ჯანმრთელობის დაზიანებას და ზოგ შემთხვევაში გარდაცვალებასაც, როგორც თამბაქოს ინდუსტრიის შედეგს.

ამ სარჩელებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იმ სისტემური ქმედებების მხილებაში, რომლებიც ინდუსტრიას წლების განმავლობაში ეხმარებოდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის დაბლოკვაში.

თამბაქოს ინდუსტრიის წინააღმდეგ როგორც კერძო პირების, ისე სახელმწიფოს მხრიდან წარდგენილი სარჩელების მნიშვნელობის აღსანიშნავად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (WHO FCTC) მე-19 მუხლი ითვალისწინებს, რომ ხელმომწერმა სახელმწიფოებმა „განიხილონ საკანონმდებლო ზომების მიღება ან არსებული კანონმდებლობის ხელშეწყობა, საჭიროებისამებრ, სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დადგენისა და ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.“

თუმცა მსგავსი სამართლებრივი ნაბიჯების გადადგმა სახელმწიფოებისთვის მარტივი არაა — წარმატებისთვის გადაწყვეტია პოლიტიკური ნება, სასამართლოში სარჩელის სამართლებრივი საფუძვლიანობა და დიდი, გავლენიანი

¹³ შეადარე. Muñoz Martínez, H. and Pederson, A., 2019. Global frameworks, local strategies: Women's rights, health, and the tobacco control movement in Argentina. Global public health. 14(6-7), გვ.1020-1030.

კორპორაციების წინააღმდეგ პროცესების წარმართვის სირთულე. დღემდე მხოლოდ მცირე რაოდენობის ქვეყნებს მიუღწევიათ წარმატებული შედეგისთვის თამბაქოს ინდუსტრიის პასუხისმგებლობის დაკისრების კუთხით.

ბოლო წლებში თამბაქოს ინდუსტრიის გლობალური ეპიდემიის გამოწვევაზე პასუხისმგებლობის დაკისრების მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა განხორციელდა. მათ შორისაა სისხლის სამართლის სარჩელები ნიდერლანდებსა და საფრანგეთში, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არ დასრულებულა მსჯავრის გამოტანით, მნიშვნელოვნად გაზარდა საზოგადოებრივი ცნობიერება ინდუსტრიის მიერ მიყენებული ზიანის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლის საქმეებში მიღებული განჩინებები იმ პირების სასარგებლოდ, რომელთაც თამბაქოსთან დაკავშირებულმა დაავადებებმა ზიანი მიაყენა, როგორც, ასევე მიმდინარე სამართლებრივი პროცესები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გაწეული ჯანდაცვის ხარჯების ანაზღაურებას ისახავს მიზნად.

ერთ-ერთი უახლესი ინიციატივა მიიღეს ბრაზილიაში, რომელიც ერთდროულადაა თამბაქოს მსხვილი მწარმოებელი და მომხმარებელი და რომელსაც გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ფართო მასშტაბის უნივერსალური და უფასო ჯანდაცვის სისტემა. ამ სისტემის დაფინანსება მთელ მოსახლეობას ეკისრება, ხოლო თამბაქოსთან დაკავშირებული დაავადებების გამო წარმოქმნილი ხარჯები მთლიანად საზოგადოებას აწვება.

ამ რეალობის გათვალისწინებით, 2019 წლის მაისში ბრაზილიის პროკურატურამ სარჩელი წარადგინა ქვეყნის უმსხვილესი თამბაქოს მწარმოებლების - მათ შორის Philip Morris International-ისა და British American

Tobacco-ს ბრაზილიური ფილიალებისა და სათავო ოფისების წინააღმდეგ. ეს საქმე ნათელს ჰფენს ტრანსნაციონალური კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხს და იმ მოსაზრებას, რომ ყველა ეკონომიკურ სუბიექტს უნდა მოეთხოვოს პასუხი თავისი მოქმედებების გამო.

სარჩელში დეტალურადაა აღწერილი ინდუსტრიის მიერ ათწლეულების განმავლობაში ჩადენილი ქმედებები, მათ შორის ნიკოტინის მიჩვევისა და თამბაქოს მავნებლობის უარყოფა, ბავშვებზე ორიენტირებული მარკეტინგი და სხვა, რომლებიც მნიშვნელოვნად აისახა ბრაზილიის მოსახლეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, ის უკვე წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას და ინდუსტრიის გლობალურად მხილებას. ამავდროულად, შესაძლოა, ეს გახდეს პრეცედენტული პროცესი ინდუსტრიის პასუხისმგებლობის დაკისრების გზაზე. ბრაზილიის გამოცდილება შეიძლება სტიმული გახდეს სხვა ქვეყნებისთვისაც, გადადგან მსგავსი ნაბიჯები და ისარგებლონ მე-19 მუხლის შესაბამისად არსებული სამართლებრივი მექანიზმებით.

თამბაქოს ინდუსტრიის ქმედებების საჯარო მხილებით, მე-19 მუხლის ფარგლებში დაყენებულ სარჩელებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო შეთანხმების სხვა მუხლების შესრულებასაც. ამგვარი სარჩელების გარშემო წარმართული დისკუსიები ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას, ხელს უწყობს ცოდნის გადრმავებას სახელმწიფოსა და თამბაქოს კომპანიებს შორის ურთიერთობის ეთიკურ სტანდარტებზე და უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას იმ ახალი პრო-

დუქტებისგან, რომლებსაც ინდუსტრია თითქოსდა ნაკლებად მავნებლად წარმოადგენს, როგორც ეს წარსულში მოხდა ე.წ. „ლაით-ი“ სიგარეტების შემთხვევაში.

4. ჯანმო-ს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (FCTC) რთლი სამართლებრივ დავებში

ზემოაღნიშნული მაგალითებიდან აშკარად ჩანს, რომ საერთაშორისო სამართალსა და პოლიტიკის ჩარჩოებს მნიშვნელოვანი როლი მიუძღვით თამბაქოს კონტროლის საკითხებზე წარმოებულ სამართლებრივ დავებში, როგორც პროცესების ფორუმის სახით (სავაჭრო და საინვესტიციო შეთანხმებების შემთხვევაში), ასევე, როგორც ნორმების წყაროს, რომლებიც სასამართლოებში გამოიყენება, განსაკუთრებით ადამიანის უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების კუთხით წარმართულ არგუმენტებში.

განსაკუთრებული გავლენა ამ პროცესებზე ჯანმო-ს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციამ (WHO FCTC) მოახდინა, რომელიც მრავალმხრივ აყალიბებს თამბაქოს კონტროლის სამართლებრივ პრაქტიკას:

- ქმნის საფუძველს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის მაღალი სტანდარტების დაცვისა და მიღწევისათვის;
- ხელს უწყობს თამბაქოს კონტროლის ინტეგრაციას ადამიანის უფლებების დღის წესრიგში, რაც ასახულია თავად კონვენციის პრეამბულაში, რომელიც ხაზს უსვამს ადამიანის უფლებებსა და თამბაქოს კონტროლს შორის კავშირს;
- წარმოადგენს მტკიცებულებით მხარდაჭერას სავაჭრო და საინვესტიციო დავებში — როგორც სამეცნიერო მონაცემ-

ბის, ისე საერთაშორისო პრაქტიკისა და კონსენსუსის თვალსაზრისით;

- ამყარებს თამბაქოს კონტროლის ზომების სამართლებრივ საფუძველს;
- უწყობს ხელს ამ ზომების საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკად ან გონივრულ/პროპორციულ ჩარევად შეფასებას;
- ასაბუთებს იმ აუცილებლობას, თუ რატომ არის მიზანშეწონილი გარკვეული კომერციული უფლებებისა და ინტერესების შეზღუდვა.

უფრო ფართო პერსპექტივაში, ჯანმო-ს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენცია ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაზიარებას სამართლებრივი დავების კუთხით, ქმნის სამოქალაქო საზოგადოების ქსელებს, აყალიბებს ტექნიკური მხარდაჭერის ინსტიტუტებს, როგორიცაა „სამართლებრივი გამოწვევების ცოდნის ჰაბი“ (Knowledge Hub on Legal Challenges) და ხელს უწყობს საქმის წარმოებას სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით, მათ შორის Tobacco-Free Kids (თამბაქოსგან თავისუფალი ბავშვების ფონდი) და Corporate Accountability International-ის (კორპორაციული პასუხისმგებლობის საერთაშორისო ორგანიზაცია) საშუალებით. ასევე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს თავად ჯანმო-ს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის ფარგლებში შექმნილი მექანიზმი, როგორიცაა პასუხისმგებლობის შესახებ მე-19 მუხლის ინსტრუმენტარიუმი (Article 19 liability toolkit).

გარდა ამისა, ამ სამართლებრივი საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება ისეთ ზომებს, რომლებიც მიღებულია თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციით (FCTC) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ან მის განხორციელებასთან მიმართებით.

შესაბამისად, როგორც თავად კონვენცია, ისე მისი განხორციელების მხარდამჭერი ინიციატივები, მაგალითად, FCTC 2030 პროექტი, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ და წარმართავენ ამ სამართლებრივი პროცესების განვითარებას.

5. თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენცია და სამართლებრივი

საქართველომ ბოლო წლებში გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები თამბაქოს კონტროლის მიმართულებით: მიღებულია ყოვლისმომცველი ანტითამბაქო კანონმდებლობა, რომელიც მკაცრად არეგულირებს თამბაქოს მოხმარებას საჯარო სივრცეში, თამბაქოს რეკლამასა და შეფუთვას და ეფუძნება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის (WHO FCTC) პრინციპებს.

საქართველო 2006 წელს შეუერთდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციას და მას შემდეგ აქტიურად ახორციელებს მის ძირითად მოთხოვნებს. ამ რეფორმებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა როგორც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, ისე თამბაქოს მოხმარების შემცირებაზე.¹⁴

თამბაქოს კონტროლის სამართლებრივი საფუძველი საქართველოში დგინდება „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით (პირველად

მიღებული 2003 წელს).¹⁵ აღნიშნული კანონი ითვალისწინებს შემდეგ ძირითად რეგულაციებს:

- თამბაქოს ნაწარმის რეკლამის, პრომოციისა და სპონსორობის აკრძალვა;
- საჯარო სივრცეებში თამბაქოს მოხმარების მკაცრი შეზღუდვა;
- პაკეტების სტანდარტიზაცია და სავალდებულო გაფრთხილებები;
- ასაკობრივი შეზღუდვები და გაყიდვის წესების განსაზღვრა;
- ელექტრონული სიგარეტებისა რეგულირება.

მიუხედავად პროგრესისა, პრაქტიკაში არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები მისი აღსრულების, ასევე სამართლებრივი ბერკეტების გამოყენების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ინდუსტრიის პასუხისმგებლობის დაყენების მიმართულებით, რაც დაკავშირებულია FCTC-ის მე-19 მუხლის (სამართლებრივი პასუხისმგებლობა) ნაკლებად ათვისებასთან.

საქართველოში ჯერ არ გვხვდება ფართო პრაქტიკა იმგვარი სამართლებრივი დავების, სადაც ინდივიდები, სამოქალაქო ორგანიზაციები ან სახელმწიფო თამბაქოს ინდუსტრიას სასამართლოში სდებენ ბრალს ჯანმრთელობის დაზიანებისთვის. ამგვარი სამართლებრივი გზების გააქტიურება, როგორც ეს, მაგალითად, ხდება ევროკავშირის ქვეყნებში (ასევე ინდოეთსა და ბრაზილიაში), ხელს შეუწყობდა ინდუსტრიის ანგარიშვალდებულების გაზრდას და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას.

 3. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 30/11/1992. (ძალადაკარგულია).
- სასამართლო პრაქტიკა:**
1. საქართველოს პარლამენტის წევრების 2023 წლის 16 ოქტომბრის #3/1/1797 კონსტიტუციური წარდგინება.
 2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის #3/1/1797 გადაწყვეტილება.
 3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - ირი-

ნე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის #3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით.

ინტერნეტ რესურსები:

1. მენაბდე, ვ., 2023. პრეზიდენტის იმპიჩმენტი - რა როლი აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://shorturl.at/H6oCQ>> [წვდომის თარიღი 20.05.2025].

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Babek, V., Erfrut J. and Steinröter, B., 2015. Application of Comparative Law Methodology in Practice, Distribution of Powers of the President and Prime Minister in Georgia, France and Germany. "Constitutional Law Review", 8. (in Georgian)
2. Bodzashvili, L., 2010. Competence of the President as the Highest Representative of the State in Foreign Relations according to the New Constitutional Amendments. (in Georgian)
3. Demetrashvili, A., 2011. The Constitution of Georgia of February 21, 1921 from the perspective of 2011, at the origins of Georgian constitutionalism - the 90th anniversary of the Constitution of Georgia of 1921. (in Georgian)
4. Demetrashvili, A., 2013. Features of the new system of governance in Georgia, from super-presidential to parliamentary: constitutional amendments in Georgia. (in Georgian)
5. Demetrashvili, A. and Kobakhidze, I., 2014. Constitutional Law. Second edition. (in Georgian)
6. European Commission for Democracy through Law (Venice Commission), "Opinion on the Draft Amendments to the Constitution of Georgia". Adopted by the Venice Commission at its 58th Plenary Session, Venice, 12-13 March 2004. (in English)
7. Gonashvili, V., 2017. Constitutional Law of Georgia. (in Georgian)
8. Gvazava, G., 2016. Around the Constitution - the President of the Republic, in the book: Chronicles of Georgian Constitutionalism. (in Georgian)
9. Kantaria, B., 2014. Constitutional Law of Georgia, Second Edition. (in Georgian)
10. Kantaria, B., 2017. Constitutional Law of Georgia. (In Georgian)
11. Kavelidze, T., 2022. The Constitutional Status of the Head of State and Government in the Sphere of Foreign Relations in the Footsteps of the 1921 Constitution of Georgia and the „Transitional Period“. (in Georgian)
12. Khmaladze and others, 2005. Georgian State Power at the Central Level: Balance between Its Branches. The Process of Constitutional and Political Reform in Georgia: Political Elites and People's Voices. (in Georgian).
13. Kobakhidze, I., 2019. Constitutional Law. (In Georgian)
14. Kverenchkhiladze, G., 2011. The Executive Branch and the 1921 Constitution of Georgia, At the Roots of Georgian Constitutionalism - 90th Anniversary of the 1921 Constitution of Georgia. (in Georgian)
15. Matsaberidze, M., 2011. 90th Anniversary of the 1921 Constitution of Georgia. (in Georgian)
16. Melkadze, O., 2011. Georgian Constitutionalism, Book Two. (in Georgian)
17. Papuashvili, G., 2013. The Constitution of the Democratic Republic of Georgia of

- 1921, 2nd edition. (in Georgian)
18. Shugart, M. and Carey, J., 1992. Presidents and Assemblies Constitutional Design and Electoral Dynamics. (in English)
 19. Tevdorashvili, G., 2017. Constitutional Law of Georgia. (in Georgian)
 20. Tevdorashvili, G., 2021. In Search of the Organic Form of the Republic - One Hundred Years Since the Adoption of the First Georgian Constitution. (in Georgian)
 21. Tsobiladze, P., 2004. Constitutional Law of Georgia. Volume I. (in Georgian)

Normative Materials:

1. Constitution of Georgia. Parliamentary Gazette, 24/08/1995, #786. (in Georgian)
2. Constitution of Georgia, 21/02/1921. [Online] available at:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>
[Accessed 05.04.2025]. (in Georgian)
3. Law of Georgia "On State Power", Parliamentary Gazette, 30/11/1992, (Repealed). (in Georgian)

Judicial Practice:

1. Constitutional Submission #3/1/1797 of October 16, 2023. (in Georgian)
2. Decision #3/1/1797 of the Plenum of the Constitutional Court of Georgia of October 16, 2023. (in Georgian)
3. Dissenting opinion of judges of the Constitutional Court of Georgia - Irine Imerlishvili, Giorgi Kverenchkhiladze and Teimuraz Tughushi regarding the conclusion #3/1/1797 of the Plenum of the Constitutional Court of Georgia of October 16, 2023. (in Georgian)

Internet Resources:

1. Menabde, V., 2023. Impeachment of the President - What is the Role of the Constitutional Court. [Online] available at: <https://shorturl.at/H6oCQ> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)

ოჯახში ძალადობის ანათოპია: თეორიული პარადიგმები, ფორმები, სუბიექტები და ლათენტურობის პრობლემა

ვახტანგი მურადაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების

ფაკულტეტის აფილირებული ასისტენტი

საქართველო, თბილისი

ელ.ფოსტა : v.muradashvili@gmail.com

აბსტრაქტი

ჯახში ძალადობის პრობლემის გადაჭრა დღემდე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს დღევანდელ მსოფლიოსა და, შესაბამისად, საქართველოშიც. გახშირებული ძალადობის ფაქტების საპირწონედ არაერთი საჭირო და მნიშვნელოვანი ცვლილებადამატებები შევიდა ქართულ კანონმდებლობაში, თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნული მცდელობისა, დანაშაულის სტატისტიკა კვლავაც მზარდია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, გამოვიკვლიოთ ოჯახში ძალადობის საკითხი და გავაანალიზოთ პრობლემის რაობა მისი ეფექტიანი კონტროლისათვის.

ჩინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ოჯახში ძალადობის საკითხის შესწავლას; განსაკუთრებით, კი მისი თეორიული საფუძვლების, განხორციელების ფორმების, სუბიექტებისა და ლატენტური ხასიათის. ნაშრომში გაანალიზებულია ოჯახში ძალადობის შესწავლის ძირითადი თეორიული პარადიგმები, მათ შორის ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მიდგომები, რომლებიც განმარტავენ ძალადობის წარმოშობისა და განვითარების მექანიზმებს.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ისტორიული, მიმოხილვითი, სისტემური და ფორმალურ-ლოგიკური მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა სისტემურად და შინაარსობრივად შეფასდეს საკვლევი თემის აქტუალური პრობლემები.

სტატიაში განხილულია თეორიები ოჯახში ძალადობის შესახებ, დეტალურადაა გაანალიზებული ოჯახში ძალადობის ტიპოლოგია, რომელიც მოიცავს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ, ეკონომიკურ ძალადობას, იძულებას და უგულებელყოფას. ნაშრომში კრიტიკულად გაანალიზდა ოჯახში ძალადობის კანონით გათვალისწინებული სუბიექტები და გამოიკვეთა არსებული ხარვეზები. გააზრებულია ოჯახში ძალადობის ლატენტურობის პრობლემა. ასევე, განხილულია ძალადობის ფაქტების გამოვლენის არსებული მეთოდები და სუბიექტთა იდენტიფიცირებისა და სტატუსის მინიჭების პროცედურები.

საკვანძო სიტყვები: ძალადობა, სუბიექტები, პრევენცია

ANATOMY OF DOMESTIC VIOLENCE: THEORETICAL PARADIGMS, FORMS, SUBJECTS, AND THE PROBLEM OF LATENCY

Vakhtangi Muradashvili

PhD student of the Faculty of Law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

*Affiliated Assistant of the Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University
Georgia, Tbilisi*

Email: v.muradashvili@gmail.com

ვახტანგ მურადაშვილი

ABSTRACT

Solution of the problem of domestic violence is still a topical issue in today's world and, accordingly, in Georgia. To counter the increasing incidence of violence, a number of necessary and important amendments have been made to Georgian legislation, however, despite the above-mentioned efforts, crime statistics are still increasing. That is why it is important to investigate the issue of domestic violence and analyze the nature of the problem in order to effectively control it.

The present work aims to study the issue of domestic violence; in particular, its theoretical foundations, forms of implementation, subjects and latent nature. The work analyzes the main theoretical paradigms of the study of domestic violence, including psychological and sociological approaches that elucidate the mechanisms of the origin and development of violence.

Given the relevance of the topic, historical, review based, systematic and formal-logical methods have been used within the framework of the study, which allow for a systematic and substantive assessment of the current problems of the research topic.

The article discusses theories about domestic violence, analyzes in detail the typology of domestic violence, which includes physical, psychological, sexual, economic violence, coercion and neglect. The work critically analyzes the subjects provided for by the Domestic Violence Law and identifies existing gaps. The problem of the latency of domestic violence is understood. Also, the existing methods of detecting facts of violence and the procedures for identifying subjects and assigning status are discussed.

KEYWORDS: Violence, Subjects, Prevention

შესავალი

ოჯახში ძალადობა წარმოადგენს გლობალურ სოციალურ პრობლემას, რომელიც უარყოფითად აისახება ინდივიდების, ოჯახებისა და მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობაზე. მიუხედავად მრავალი კვლევისა და პრევენციული ღონისძიებებისა, აღნიშნული სოციალური მოვლენა კვლავაც აქტუალურ გამოწვევად რჩება. ოჯახში ძალადობა, როგორც სოციალური პათოლოგია, კვლავ კულტურულ, ეკონომიკურ და რელიგიურ საზღვრებს, წარმოადგენს რა ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას და მნიშვნელოვან ბარიერს ჯანსაღი საზოგადოების განვითარებისათვის. ოჯახში ძალადობის დამანგრეველი გავლენა ვრცელდება არა მხოლოდ უშუალო მსხვერპლზე, არამედ ოჯახის სხვა წევრებზეც, განსაკუთრებით ოჯახის მცირეწლოვან და არასრულწლოვან წევრთა ნორმალურ განვითარებაზე, ასევე მთლიანად საზოგადოებაზე, რაც გამოიხატება ფსიქოლოგიური ტრავმებით, სოციალური იზოლაციით, ეკონომიკური პრობლემებითა და ჯანმრთელობის გაუარესებით.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ოჯახში ძალადობის საკითხის ანალიზს. ნაშრომში მიმოიხილვება თეორიები ოჯახში ძალადობის შესახებ, რომლებიც თავისებურად ცდილობენ ახსნა მოუძებნონ ძალადობის გამომწვევ მიზეზებს. დეტალურად გაანალიზდება ძალადობის განხორციელების ის ფორმები, რომლებიც ქართული კანონმდებლობითა და საერთაშორისო ნორმებითაა გათვალისწინებული. როგორებიცაა: ფიზიკური, ფსიქოლოგიური (ემოციური), სექსუალური, ეკონომიკური იძულება და უგულებელყოფა. მეტი თვალსაჩინოებისათვის და საზოგადოების ცნობიერების დონის გასაგებად მოყვანილი და გააზრებული

იქნება ძალადობის ცალკეული ფორმის მსხვერპლის მიერ აღქმადობისა და ამ კუთხით რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკური ინფორმაცია.

ნაშრომი სიღრმისეულად და კრიატურ საკითხებს სუბიექტთა ჩამონათვალის სრულყოფისათვის. აგრეთვე მიმოიხილავს და აანალიზებს ოჯახში ძალადობის სუბიექტთა იდენტიფიცირებისა და სტატუსის მინიჭების თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას, რაც უმნიშვნელოვანესია დანაშაულის პრევენციისა და ხელახალი ჩადენის აღკვეთისათვის. ასევე განხილული იქნება ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენის ლატენტურობის საკითხი.

I თეორიები ოჯახში ძალადობის შესახებ

1970 წლებში დაიწყო ნაცემ ქალთა მოძრაობა. „როდესაც, აღნიშნული მოძრაობა ყალიბდებოდა, საზოგადოება ინერტული იყო ძალადობის აღნიშნულ ფორმასთან მიმართებით. ძირითადი სოციალური ინსტიტუტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მედიაც კი ღუშდა აღნიშნულ პრობლემაზე“.¹ აღნიშნული თეორია, თუ რატომ სცემენ კაცები ქალებს, ეფუძნებოდა ფსიქოპათოლოგიას: „ამ თეორიის მიხედვით, მამაკაცები, რომლებიც თავიანთ ცოლებს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ, ფსიქიკურად დაავადებულად მიიჩნეოდნენ, რომელთა განკურნება შესაბამისი ფსიქიატრიული მკურნალობის საშუალებით მიიღწეოდა. თუმცა, აღნიშნული მალევე იქნა უარყოფილი მკვლევარების მიერ, ვინაიდან, მოძალადეთა ყოფაქცევა არ შეესაბამებოდა ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების მახასიათებლებს. მოძალადეები თავს ესხმიან მხოლოდ მათ

¹ Kathleen, J.T., 1982. "The Battered Women Movement and the Creation of the Wife Beating Problem." Social Problems, Oxford University press 1982, 29, გვ. 207.

უახლოეს პარტნიორებს ან ცოლებს, ხოლო ფსიქიკურად დაავადებულნი, მაგალითად, შიზოფრენიით დაავადებულები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ უახლოეს პარტნიორებზე ძალადობით”² აღნიშნული თეორიის კრიტიკაც სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხს ეხება, ვინაიდან შეუძლებელია ყოველი ფიზიკური ძალადობის გამოვლინება მიეწეროს ფსიქოლოგიურ პათოლოგიას, როდესაც მოძალადეს არ აღენიშნება ფსიქიკური ხასიათის პრობლემები. „კვლევაში ნაცემი ქალები ფსიქიკურად დაავადებულად ხასიათდებოდნენ, მაგრამ კვლევის შედეგები დამახინჯებული იყო, ვინაიდან მკვლევარები მხოლოდ იმ ქალების შემოწმებით შემოიფარგლებოდნენ, რომლებიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იმყოფებოდნენ. სინამდვილეში ნაცემი ქალები ფსიქიკურად დაავადებულები არ იყვნენ და მრავალი მათგანი არასწორი დიაგნოზის გამო მოთავსდა დაწესებულებებში და მათ ვერ შეძლეს ფსიქიკური და ფსიქოლოგიური შედეგების ამოცნობა”³

მოგვიანებით ჩამოყალიბდა ახალი თეორია, რომელსაც შესწავლილი ქცევის თეორიის სახელწოდებით ვიცნობთ: „სწავლა დაკვირვების შედეგად ან დაკვირვებით სწავლა გულისხმობს ცნობიერ და არაცნობიერ დაკვირვებას და დაკვირვების შედეგად ნასწავლი ქცევის გამეორებას. [...] ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, თუ ოჯახის ქალიშვილი ხედავს, რომ მამამისი სისტემატიურად ძალადობს დედამისზე,

გოგონა გათხოვების შემდგომ თუ იმავე სიტუაციაში ჩავარდება, მისთვის ადვილი იქნება შეეგუოს მსხვერპლის როლს ან მოითმინოს ძალადობა”⁴ შესწავლილი ქცევის თეორიაც სწორედ აღნიშნულს გულისხმობს, რომ ვაჟები სწავლობენ ძალადობას მამისაგან, ხოლო გოგონები კი მსხვერპლის როლში ყოფნასა და ძალადობის მოთმენას დედისაგან. ამავე დროს მათ აღნიშნული ქმედებები საზოგადოებისათვის ნორმალურ და მისაღებ ქცევებად მიაჩნიათ.

კონტროლის დაკარგვის თეორიის მიხედვით მამაკაცები შეუცნობლად, საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვის გამო ძალადობენ. მამაკაცებს საზოგადოებისაგან მინიჭებული აქვთ როლი, რომ არ გამოხატონ საკუთარი ემოციები. შესაბამისად, მამაკაცს ხელს უშლის თამამად და ხმამაღლა გამოხატოს საკუთარი იმედგაცრუება და რისხვა საზოგადოებისაგან მოსალოდნელი რეაქციის გამო. აღნიშნული გრძნობები კი გროვდება და ბოლოს მამაკაცი ცდილობს განთავისუფლდეს მისგან ძალადობის გამოყენების გზით.⁵ რაც გულისხმობს, რომ ძალადობის განხორციელება გამოწვეულია მამაკაცის უუნარობით, გამოხატოს და გააკონტროლოს საკუთარი რისხვა და უიმედობა. აღსანიშნავია, რომ კონტროლის დაკარგვის თეორია წინააღმდეგობაში მოდის მოძალადის საქციელთან. მოძალადე თავის ძალადობას სიფრთხილით წარმართავს განსაზღვრული ადამიანების მიმართ განსაზღვრულ დროსა და ადგილზე.⁶

² ფერაძე, მ., მიქანაძე, გ. და სააკაშვილი, ნ., 2011. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისთვის, სასწავლო კურსი თემაზე: ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბილისი: გვ.11.

³ მესხი, მ., 2011. ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1, გვ. 62.

⁴ შალიკაშვილი, მ., 2011. ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი: მერიდიანი, გვ.54.

⁵ შეადარე. Emerson Dobash, R. and Dobash, R.P., 1992. Women, Violence and Social Change, Oxon: Routledge, გვ. 222.

⁶ შეადარე. მესხი, მ., 2011. ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1, გვ. 63.

შეცნობილი უმწეობის თეორია საკმაოდ პოპულარულია. „ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლეონორ ვოლკერმა შეისწავლა იმ ქალთა ყოფაქცევა, რომლებიც მოძალადე ქმრებთან თანაცხოვრებას არჩევენ. მისი ჰიპოთეზის თანახმად, ქალების გადაწყვეტილება, გააგრძელონ ცხოვრება მოძალადე ქმრებთან, იმაში გამოიხატება, რომ მუდმივი შეურაცხყოფა მათ გაყრისათვის საჭირო ნებისყოფას ართმევს. აღნიშნული თეორია ეფუძნებოდა ნაცემ ქალთა საერთო თვისებებს: დაბალი ღირსების გრძნობა, განმარტობისკენ მიდრეკილება ან კონტროლის დაკარგვის გაუთავისებლობა.“

II ოჯახში ძალადობის განხორციელების ფორმები

საქართველოს კანონში, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ მოცემულია ოჯახში ძალადობის განხორციელების ფორმები. კერძოდ, მის მე-3 მუხლში ჩამოთვლილია, რომ ოჯახში ძალადობა შესაძლებელია განხორციელდეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. ამავე კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი კი ლეგალურად განმარტავს ფიზიკური ძალადობის ცნებას. „ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომლებიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რომელიც იწვევს მსხვერპლის

ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს“, ზოგჯერ, ერთი შეხედვით, ნაკლებად სერიოზული ფიზიკური ძალადობის ფორმამ, როგორებიცაა ხელის კრა ან ბიძგება, გამოიწვიოს ყველაზე სერიოზული დაზიანებები. მოძალადემ შესაძლოა მსხვერპლი მოისროლოს დივანზე, მიანარცხოს კედელზე, დააგოროს კიბეზე ან გადააგდოს მოძრავი ავტომობილიდან. აღნიშნულმა კი შეიძლება სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები გამოიწვიოს. როგორებიცაა: თავის ტვინის შერყევა, სისხლნაჟღერებები, მოტეხილობა, ზურგის ტვინისა დაზიანება და სხვა.

კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით: „ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომლებიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.“

ფსიქოლოგიურ ძალადობას ახასიათებს აღქმადობის სირთულე და მის მიერ გამოწვეული პრობლემების ფარული ხასიათი. გაეროს ბავშვთა ფონდის 2013 წლის ეროვნული კვლევის⁸ მიხედვით, მოსახლეობის 64%-ს არ შეუძლია ფსიქოლოგიური ძალადობის ყველა ფორმის აღქმა. როგორებიცაა: დაბალი თვითშეფასება, საკუთარი თავის რწმენის დაკარგვა, დეპრესია, შფოთვა, თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილება, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და სხვა.

ფსიქოლოგიური ძალადობის დროს მოძალადის მუქარა ძალადობაზე ან ზიანის მიყენება, შესაძლოა მიმართული იყოს თავად მსხვერპლის, მისი ახლობელის ან თავად მოძალადისაკენ (თვითმკვლელობის მუქარა). აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიურ ძალადობას შეიძლება საერთოდ არ ახლდეს ფიზიკური ძალადობის საფრთხე, მიუხედავად ამისა, მოძალადემ შესაძლოა

⁷ იქვე.

⁸ დვალიშვილი, დ., 2013. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში. გაეროს ბავშვთა ფონდი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.unicef.org/georgia/media/2066/file> [წვდომის თარიღი 15.05.2025]. გვ.26.

დააზიანოს მსხვერპლის ურთიერთობები გარესამყაროსთან, მისი რეპუტაციის შეზღუდვითა და დამცირებით მეგობრების, თანამშრომლებისა თუ საზოგადოების სხვა წევრებთან მიმართებით.

საინტერესო შედეგები აჩვენა აღნიშნულმა კვლევამ, ფსიქოლოგიური ძალადობის აღქმისა და მსხვერპლის განათლების დონის მიმართების კუთხით. სადაც არასრული საშუალო განათლების მქონე ქალთა 12%, სრული საშუალო განათლების მქონე ქალთა 24% და უმაღლესი განათლების მქონე ქალთა 32% ემოციური ძალადობის მსხვერპლი გამხდარა. მონაცემთა თანახმად, რაც უფრო განათლებულია ქალი, მით უფრო მეტად შეუძლია ემოციური ძალადობის ფორმის ამოცნობა. აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ განათლებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ძალადობასთან ეფექტურ ბრძოლაში.⁹

კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით: „სექსუალური ძალადობა - სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ.“

სექსუალური ძალადობა ფართო მნიშვნელობის მატარებელია, ოჯახში ძალადობის კუთხით იგი გულისხმობს ცოლის, როგორც სექსუალური ობიექტის მიმართ ძალადობრივ სექსუალურ დამოკიდებულებას. იგი შეიძლება მოიცავდეს სექსუალურ აქტზე

დათანხმებას იძულებით, მუქარით, მანიპულაციითა და ფიზიკური ძალის გამოყენებით. „სექსუალური აქტის დროს განსაკუთრებული სისასტიკის გამოჩენას, ეჭვიანობის ნიადაგზე ცოლის სხვებთან კავშირში დადანაშაულებას, პორნოგრაფიული ქმედებების ყურებისა და/ან გამეორების იძულებას.“¹⁰ ისეთ სექსუალური აქტივობის განხორციელების იძულებას, რომელიც ძალადობრივია, მტკივნეულია, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი და მიუღებელია მსხვერპლისათვის. ან ისეთ დროს, როდესაც მსხვერპლს არ სურს სექსუალური აქტით დაკავდეს; მოძალადეთა ძირითადი გზავნილია, რომ მათ არ აქვთ საკუთარი სხეულის სურვილისამებრ გამოყენებისა და მოძალადისათვის უარის თქმის უფლება. ზოგჯერ ზოგიერთი მსხვერპლი ახერხებს წინააღმდეგობის გაწევას, თუმცა ისინი კიდევ უფრო მკაცრი მოპყრობის მსხვერპლნი ხდებიან. სექსუალური ძალადობა მსხვერპლთა უმეტესობაზე ღრმა ფსიქოლოგიურ კვალს ტოვებს, რის გამოც მსხვერპლები ერიდებიან აღნიშნულზე საუბარს. ზოგიერთი მათგანი კი საერთოდ ვერ აცნობიერებს აღნიშნული ქმედება არის თუ არა ძალადობრივი, ზოგისთვის კი მეუღლისა თუ პარტნიორისათვის სექსუალურ აქტზე უარის თქმა უტოლდება ღალატს.

2019 წლის ანგარიშის მიხედვით, „2018 წლის მსგავსად, მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, სექსუალური ძალადობა კვლავ რჩება გენდერული ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე, დაფარულ და დაუსჯელ

⁹ ჩიტაშვილი, მ. და სხვები, 2010. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა. საბოლოო ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://short-link.me/19cVN>> [წვდომის თარიღი 15.05.2025]. გვ. 41.

¹⁰ არასამთავრობო ორგანიზაცია საფარი, 2016. რა არის ოჯახში ძალადობა? [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://short-link.me/14ul8>> [წვდომის თარიღი 15.05.2025]. „შესავალში.“

ფორმად.¹¹

აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით: „ეკონომიკური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.“

ზოგიერთი მოძალადე ოჯახის ეკონომიკურ რესურსებზე წვდომის შეზღუდვით ცდილობს გააკონტროლოს საკუთარი მსხვერპლი. როგორიცაა: დრო, ტრანსპორტირება, ტანისამოსი, საკვები, საცხოვრებელი, დაზღვევა და ფული. მოძალადისათვის არ აქვს მნიშვნელობა ოჯახში მთავარი შემომტანი ვინაა, შეიძლება ეს იყოს თავად მოძალადე, მსხვერპლი ან ორივე მათგანი. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ გააკონტროლოს, თუ რაში იხარჯება ოჯახის შემოსავალი. ხშირ შემთხვევაში მოძალადე ცდილობს ხელი შეუშალოს მსხვერპლს ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვებასა და შენარჩუნებაში, რაც მას ძალაუფლებისა და კონტროლისათვის სჭირდება. ამის საპირწონედ, მსხვერპლი ანებებს სამსახურს ან წყვეტს სამსახურის ძიებას და დიასახლისობით ეხმარება ოჯახს. ნებისმიერ შემთხვევაში გადაწყვეტილებების უპირობო მიმღებად მოძალადე გვევლინება, ხოლო მსხვერპლი კი ისეთ მდგომარეობაში ექცევა, როდესაც მან ნებართვა უნდა მიიღოს მოძალადისაგან ფულის დახარჯვაზე, რათა უზრუნველყოს ოჯახის საჭიროებები. როდესაც მსხვერპლი გადაწყვეტს გაწყვიტოს მოძალადესთან

ურთიერთობა და წავიდეს, მოძალადემ შესაძლოა გამოიყენოს ეკონომიკური მანიპულაციები მასზე კონტროლის მოსაპოვებლად ან მის დასაბრუნებლად.

ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობის კუთხით აღსანიშნავია, რომ 2024 წლის საქსტატის მონაცემებით¹² ეკონომიკურად აქტიური იყო ქალების 54.5% მაშინ, როდესაც მამაკაცების ანალოგიურმა მაჩვენებელმა 72.6% შეადგინა. ხოლო დასაქმების მაჩვენებელი ქალებში 49.0%, მამაკაცებში კი - 63.3% შეადგინა. შესაბამისად, მამაკაცებში ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების პროცენტული მაჩვენებლები არსებითად მაღალია ქალთა ანალოგიურ მაჩვენებლებზე.

ზემოაღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით: „იძულება - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.“

იძულება საკმაოდ ზოგადი ცნებაა და გულისხმობს ადამიანის საყოველთაო უფლებებსა და თავისუფლებებში უკანონო ჩარევასა და მის შეზღუდვას. იძულება თრგუნავს ადამიანის თავისუფალ ნებას, რომელიც წარმოადგენს „პიროვნების თავისუფლებას, რომელიც თავისთავში ნების ფორმირებისა და ნების განხორციელების თავისუფლებას გულისხმობს. თავის მხრივ, ნების ფორმირებაში გაიგება ქცევის მრავალი შესაძლებლობებიდან ერთ-ერთი ქცევის არჩევა, ხოლო ნების განხორციელება-

¹¹ ღია საზოგადოების ფონდი და კოალიცია თანასწორობისთვის, 2019. დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისათვის საქართველოში, 2019 წლის ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/19cPc> [წვდომის თარიღი 15.05.2025]. გვ.38.

¹² თოდრაძე, გ., „რედ.“ 2024. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური პუბლიკაცია, ქალი და კაცი საქართველოში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/18NZ4> [წვდომის თარიღი 15.05.2025]. გვ.67.

ში არჩეული ალტერნატიული ქცევიდან ერთ-ერთი ქცევის განხორციელება იგულისხმება.¹³

2014 წლის ანგარიში საინტერესო მონაცემებს იძლევა ოჯახში ძალადობის აღქმადობის კუთხით, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 97.1%-ის აზრით, ფიზიკური ძალადობა ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმაა. შემდეგ ძალადობის მძიმე ფორმად აღქმულია სექსუალური ძალადობა (94.4%), კონტაქტების შეზღუდვა (91%), გადაადგილების შეზღუდვა (89.2%), ეკონომიკური კონტროლი (89%) და სიტყვიერი შეურაცხყოფა (83.5%). ხოლო სიტყვიერი ძალადობა მიჩნეულია ძალადობის უფრო მძიმე ფორმების წინმსწრებ ფორმად.¹⁴ საინტერესო ფაქტია, რომ გამოკითხულთა 76.20%-ისთვის მისაღებია მსხვერპლის მიერ დახმარების

ძიება ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან და არა სამართალდამცავ ორგანოებთან,¹⁵ რაც თავის მხრივ ართულებს ოჯახში ძალადობასთან ეფექტურ ბრძოლას, აგრეთვე მანიშნებელია იმის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი არ ენდობა სამართალდამცავ ორგანოებს. თავად იურიდიულ სფეროში მოღვაწეები¹⁶ კი უინტერესოდ თვლიან ოჯახში ძალადობის საქმეებზე მუშაობას. ხოლო მათ პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია ძალადობის ორი სახე, ფიზიკური და ფსიქოლოგიური. ყველაზე ბოლო ადგილს კი იძულება იკავებს.¹⁷

¹³ დვალიძე, ი., ხარანაული, ლ., თუმანიშვილი, გ. და წიქარიშვილი, კ., 2019. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 277.

¹⁴ შეადარე. სუმბაძე, ნ., 2014. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღქმა თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, 2014 წლის ნოემბრის ანგარიში. გვ. 7.

¹⁵ შეადარე. იქვე. ნ.

¹⁶ აქ იგულისხმებიან, მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა კვლევაში.

¹⁷ შეადარე. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2015. ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების სამართლებრივი საჭიროებების კვლევა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://short-link.me/19hdi>> [წვდომის თარიღი 14.05.2025]. გვ.11.

შსს-ის სტატისტიკური მონაცემები - ძალადობის სახეების გამოვლინება წლების მიხედვით¹⁸

სახე წელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025 იანვარ-მარტი
ფიზიკური	1208	1151	990	1705	2582	2587	2494	2284	129	175	36
ფსიქოლოგიური	2626	3001	4176	7109	9445	9503	8627	8042	746	836	171
ეკონომიკური	143	129	143	198	255	214	203	169	2	6	1
სექსუალური	19	11	9	25	33	31	50	49	23	45	6
იძულება	146	96	97	74	121	87	72	75	20	29	3
უგულებელყოფა	0	0	24	68	155	67	83	54	1	2	0
სულ	4142	4388	5439	9179	12591	12489	11529	10673	921	1093	217

როგორც წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, ყოველწლიურად მატულობს თითოეული ძალადობის ფორმით განხორციელებული ოჯახში ძალადობა. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ოთხი თვის მონაცემები უკვე აღემატება 2015 წლის 12 თვის მონაცემებს, ხოლო უტოლდება 2016 წლის 12 თვის მონაცემებს, რაც შეიძლება ორი ფაქტორით აიხსნას:

- სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვიანობის მატებით და საზოგადოების ზოგადი ცნობიერების ამაღლებით;

- თავად ოჯახში ძალადობის ფაქტების მომატებით.

საგულისხმოა, რომ არაბუნებრივად იკლებს დანაშაულთა ჩადენის მაჩვენებელი 2022 წლიდან მოყოლებული დღემდე. წარმოდგენილია, რომ იქ, სადაც ყოველწლიურად 10 000-ზე მეტი ოჯახში ძალადობის ფაქტი ფიქსირდებოდა, უცბად ჩამოვარდა აღნიშნული მაჩვენებელი 1000 ერთეულზე. თან, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ამ საანგარიშო წლებში რადიკალური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ცვლილება არ მომხდარა.

¹⁸ სტატისტიკური ინფორმაცია, 2015 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [644fc1fbecfe.pdf](https://www.ssi.gov.ge/Uploads/2015/2015%20stat%20en.pdf) [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2016 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [644fc2414cb0d.pdf](https://www.ssi.gov.ge/Uploads/2016/2016%20stat%20en.pdf) [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2017 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [644fc28277965.pdf](https://www.ssi.gov.ge/Uploads/2017/2017%20stat%20en.pdf) [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2018 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [6037653bc2f2b.pdf](https://www.ssi.gov.ge/Uploads/2018/2018%20stat%20en.pdf) [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2019 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [603766127a88d.pdf](https://www.ssi.gov.ge/Uploads/2019/2019%20stat%20en.pdf) [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2020 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [6037669b135d6.pdf](https://www.ssi.gov.ge/Uploads/2020/2020%20stat%20en.pdf) [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2021 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [620a27a26ae30.pdf](https://www.ssi.gov.ge/Uploads/2021/2021%20stat%20en.pdf) [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2022 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [63d8e6f9f210a.pdf](https://www.ssi.gov.ge/Uploads/2022/2022%20stat%20en.pdf) [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2023 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [65e5ccbc11080.pdf](https://www.ssi.gov.ge/Uploads/2023/2023%20stat%20en.pdf) [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2024 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [679cc44629ff9.pdf](https://www.ssi.gov.ge/Uploads/2024/2024%20stat%20en.pdf) [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2025 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: [68138561c1439.pdf](https://www.ssi.gov.ge/Uploads/2025/2025%20stat%20en.pdf) [წვდომის თარიღი 14.05.2025].

III ოჯახში ძალადობის სუბიექტები

ოჯახში ძალადობაში, ისევე, როგორც ნებისმიერ ძალმომრეობით ქმედებაში, მნიშვნელოვანია სამი კომპონენტის არსებობა:

- მოძალადე;
- ძალადობრივი ქმედება;
- მსხვერპლი.

საქართველოს კანონში, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“, მოცემულია, როგორც მოძალადისა და მსხვერპლის, აგრეთვე ოჯახის წევრის ლეგალური დეფინიციები. კერძოდ, მის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით მსხვერპლს წარმოადგენს ქალი, არასრულწლოვანი ან ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით, ან იძულებით. ხოლო მსხვერპლს სტატუსს ანიჭებს შსს-ის შესაბამისი სამსახური, სასამართლო ორგანო ან/და მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი. ხოლო მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით მოძალადე არის ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს არღვევს ზემოაღნიშნული გზებით. ასევე, აღნიშნული მუხლის „ზ“ ქვეპუნქტში მო-

ცემულია ოჯახის წევრის ლეგალური დეფინიცია.¹⁹ აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დღეს მოქმედი რედაქციის 111-ე მუხლის²⁰ შენიშვნა პრაქტიკულად ზედმიწევნით იმეორებს ზემოაღნიშნულ კანონში მოცემული ოჯახის წევრის დეფინიციას, რაც მისასალმებელია. თუმცა 2012-დან 2017 წლებში მოქმედი რედაქცია²¹ ოჯახის წევრის ცნების ქვეშ არ მოიაზრებდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს და მოიცავდა მხოლოდ მეუღლეს (ანუ სამოქალაქო სამართლებრივად რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს), რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენდა პრაქტიკული თვალსაზრისით. ხოლო 2017 წლის პირველ ივნისს განხორციელებული ცვლილებით აღნიშნული პრობლემა გადაიჭრა და ოჯახის წევრთა სიას დაემატა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირიც. მიუხედავად ამისა, გარკვეული სამართლებრივი პრობლემა წარმოქმნა ახალმა დანაწესმაც, ვინაიდან ახალი ცვლილებით, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ყოფილი პირი არ ექვემდებარება კანონის მოქმედების ფარგლებში, მაშინ, როდესაც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ყოფილი მეუღლე ითვლება ოჯახის წევრად. აღნიშნული სამართლებრივი პრობლემა გადაჭრა უკვე შემდგომმა ცვლილებებმა, რომელიც დღეს მოქმედ

¹⁹ კერძოდ, ოჯახის წევრად ითვლება დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობითად საზრდელი, მინდობითად მზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას;

²⁰ მუხლი 111, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=275>> [წვდომის თარიღი 14.05.2025].

²¹ მუხლი 111, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=191>> [წვდომის თარიღი 14.05.2025]. (ძალადაკარგულია).

ვერსიად ჩამოყალიბდა.

პრაქტიკაში ასევე პრობლემატური საკითხია ე.წ. მეგობარი ქალის/მამაკაცის მიმართ განხორციელებული ძალადობის კვალიფიკაციის საკითხი, ვინაიდან კანონი ასეთ პირებს არ მოიაზრებს ოჯახის წევრად, თუმცა ე.წ. სტამბოლის კონვენციის მე-3 მუხლი²² აღიარებს მათ ოჯახური ძალადობის სუბიექტად. შესაბამისად, საჭიროა კანონში აღნიშნულ პირთა წრის გაფართოვება, რაც თავის მხრივ სტამბოლის კონვენციასთანაც მოვა შესაბამისობაში. დასაზუსტებელია აგრეთვე კანონმდებლისეული ხელდასიძისა და რძლის, როგორც ოჯახში ძალადობის სუბიექტთა საკითხიც, ვინაიდან კანონმდებელი აღნიშნული დანაწესით ორ სხვადასხვა სტანდარტს გვთავაზობს. „მაგალითად: თუ მოძალადემ სცემა თავისი ცოლის ძმა (რომელიც არ იწოდება სიძედ), სახეზე არ გვექნება ოჯახში ძალადობა, ხოლო, თუ პირიქით მოხდა – მოძალადემ სცემა თავისი დის ქმარი (რომელიც იწოდება სიძედ), გამოდის, რომ მან ჩაიდინა ოჯახში ძალადობა, რაც არასწორია, რადგან მოძალადეც და მსხვერპლიც ორმხრივად უნდა იყვნენ ერთმანეთის ოჯახის წევრები და არა ცალმხრივად.“²³ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ხარვეზები გამოსწორდეს და გაფართოვდეს ოჯახში ძალადობის სუბიექტთა რაოდენობა, რათა უკეთ განხორციელდეს ოჯახში ძალადობის აღკვეთა.

IV ოჯახში ძალადობის სუბიექტთა იდენტიფიცირება და სტატუსის მინიჭება

ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის სუბიექტთა იდენტიფიცირება. მოძალადისა და მსხვერპლის ძალადობის აღრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებამ შესაძლოა გადამწყვეტი როლი შეასრულოს განმეორებითი ძალადობის თავიდან აცილების საქმეში. „მნიშვნელოვანია, რომ მინაგან საქმეთა სამინისტროს ძალადობაზე რეაგირების უფლებამოსილმა პირებმა სრულყოფილად შეისწავლონ ოჯახში ძალადობის ფაქტები და შეაფასონ პრობლემა, შეძლებისდაგვარად შემჭიდროვებულ ვადებში დაადგინონ ძალადობის მსხვერპლი და მოძალადე. ეს მოქმედებები თავისთავად გარანტიაა იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ძალადობის დროულად აღკვეთა, მსხვერპლთა უფლებებისა და ინტერესების ეფექტიანი დაცვა და მომავალში მათი განმეორების თავიდან აცილება.“²⁴ ოჯახში ძალადობის აღკვეთის, პრევენციისა და ძალადობის მსხვერპლთა ინტერესებისა და უფლებების დასაცავად უმნიშვნელოვანესია, ძალადობის ფაქტების სრულყოფილი შესწავლა, არსებული პრობლემის სრულფასოვანი გააზრება. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ სახელმწიფოს კანონისმიერი ვალდებულებაა ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მოძალადეთა რეაბილიტაცია, აღნიშნულისათვის კი უმნიშვნელოვანესია ოჯახში ძალადობის სუბიექტთა

²² მუხლი 3, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0> [წვდომის თარიღი 14.05.2025].

²³ კოჭლამაზაშვილი, ბ., 2019. ოჯახში ძალადობის საქმეებზე კვალიფიკაციის პრობლემური ასპექტები. მართლმსაჯულება და კანონი, 2(62), გვ.37.

²⁴ სააკაშვილი, ნ., 2019. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების თავისებურებანი. პოლიცია და უსაფრთხოება, 1, გვ.8.

დროული იდენტიფიცირება, რომელიც უნდა განხორციელდეს საფუძვლიანი ვარაუდის არსებობის პირობებში საქმის ყოველმხრივი და სრულფასოვანი შესწავლისა და ურთიერთშეჯერებული მტკიცებულებების საფუძველზე. ცხადია, კანონით ვერ იქნება გათვალისწინებული ძალადობის თითოეული ფორმის ამოცნობის ინდიკატორები, თუმცადა აუცილებელია, სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების სათანადო მომზადება და მათთვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ამ კუთხით, რათა მათ უკეთ შეძლონ ცალკეული ძალადობის ფორმების იდენტიფიკაცია.

ოჯახში ძალადობის სუბიექტთა იდენტიფიკაცია შედარებით მარტივია ძალადობის ისეთი ფორმების არსებობის დროს, როდესაც თვალთ იოლადაა შესამჩნევი მსხვერპლზე ძალადობის კვალი, მაგ. ფიზიკური ძალადობის დროს. თუმცადა, ისეთი ძალადობის ფორმები, როგორებიცაა: ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და იძულება, შედარებით რთულია მათი ამოცნობა. გარდა ძალადობის ფორმების ამოცნობისა, „ასევე ყურადღება გასამახვილებელია იმ გარემოებაზე, რომ შესაძლოა წავაწყდეთ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს, სადაც შესაძლოა საქმე გვექონდეს შერეულ ბრალთანაც კი, მაშინ როდესაც ცოლი გვევლინება, როგორც ფსიქოლოგიური მოძალადე, ხოლო ქმარი ფიზიკური მოძალადე, ასეთ შემთხვევაში ორივე პირი მიეცემა პასუხისმგებამი.“²⁵ შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შესაძლოა ორივე პირის მიმართ იქნას გამოტანილი დამცავი ან შემაკავებელი ორდერი, რაც თავის მხრივ მოცემულ საკითხს კიდევ ართულებს

იმ კუთხით, რომ პრობლემური იქნება ორდერით გათვალისწინებული პირობების განსაზღვრა და შესრულება.

რაც შეეხება ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭების საკითხს, აღნიშნული მოწესრიგებულია კანონის მე-16 პრიმა მუხლით, რომლის მიხედვითაც, მსხვერპლისთვის სტატუსის მინიჭების უფლებამოსილება აქვს შსის შესაბამის ორგანოებს, საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოს. აგრეთვე მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს, თუ მსხვერპლის დაცვის უზრუნველსაყოფად არ მიმდინარეობს დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემის პროცესი, ან ძალადობასთან დაკავშირებით არ ხორციელდება სს დევნის ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მინიჭებული სტატუსი მოქმედებს მისი მინიჭებიდან 18 თვის მანძილზე, ხოლო, თუ მსხვერპლი მოთავსებულია თავშესაფარში, თავშესაფარში მოთავსების ვადით. აღნიშნული ვადა კი კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით სამ თვემდეა განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრა მოწესრიგებულია მთავრობის დადგენილებით.²⁶

V. ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენა

ოჯახური ურთიერთობები მეტად პირადი და ფაქიზი ხასიათისაა, შესაბამისად, ოჯახური ურთიერთობების, პრობლემებისა და მით უმეტეს ძალადო-

²⁵ გოგუაძე, ე., 2017. აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2, გვ.68.

²⁶ დაწვრილებითიხ. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის №684 დადგენილება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.gov.ge/files/382_47041_768172_684181214.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].

ბის ფაქტების სააშკარაოზე გამოტანისაგან თავს იკავებენ როგორც ოჯახის წევრები, აგრეთვე მათ გარშემო მყოფი ადამიანებიც. ცალსახაა, რომ აღნიშნულ მიდგომას თანამედროვე საზოგადოებაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული და მისი შეცვლა ურთულესი პროცესია. სწორედ ამიტომ, ოჯახში ძალადობა მიეკუთვნება ლატენტურ დანაშაულთა კატეგორიას, რაც იმას გულისხმობს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოვლენილ შემთხვევებზე გაცილებით დიდი რაოდენობა შესაბამისი რეაგირების გარეშე რჩება, მიუხედავად ყოველწლიურად მზარდი სტატისტიკური მონაცემებისა და მსხვერპლთა გაზრდილი მიმართვიანობისა. თავის მხრივ ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენა არაერთ სირთულესთანაა დაკავშირებული. ვინაიდან, სახელმწიფო, რომელმაც აქტიური როლი უნდა შეასრულოს ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით, მთლიანად დამოკიდებულია მსხვერპლის გადაწყვეტილებაზე, მიმართოს სათანადო უწყებებს და გადადგას მისთვის ურთულესი ნაბიჯი. მსხვერპლის პასიურობა ძალადობის ფაქტის შეტყობინებასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოიწვიოს ზოგადმა სტერეოტიპულმა აზროვნებამ და თავად მსხვერპლის შიშმა, მოძალადეზე ეკონომიკურად დამოკიდებულებამ, სირცხვილმა და სხვა. მიუხედავად სახელმწიფო უწყებების არაერთი წინ გადადგმული ნაბიჯისა, გამარტივდეს ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენა და მსხვერპლმა იოლად შეძლოს შესაბამისი დახმარების მიღება.²⁷ მაინც პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ოჯახში ძალადობის

ფაქტების გამოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევათა გამოვლენა ცალსახად გაზრდილია, მსხვერპლებს მაინც დიდი ძალისხმევა სჭირდებათ იმის დასამტკიცებლად, რომ ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ძალადობისა და მუქარის მსხვერპლები არიან და შესაბამისი სერვისებით დახმარებას საჭიროებენ, მაშინ როდესაც სამართალდამცავი ორგანოები თავად უნდა ახდენდნენ ოჯახში ძალადობის პრევენციას და არსებული მდგომარეობის მონიტორინგს.²⁸

უმნიშვნელოვანესია ზემოაღნიშნული კანონის მე-9 პრიმა მუხლი, რომელიც უშუალოდ ძალადობის შემთხვევების გამოვლენას ეხება და ადგენს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები, აგრეთვე კანონით დადგენილი წესით – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი. ხოლო ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება ეკისრებათ სამედიცინო დაწესებულებებს, შემთხვევაში – აგრეთვე საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.

იმისათვის, რომ ქვეყნის მასშტაბით გაიზარდოს ოჯახში ძალადობის ფაქტების

²⁷ მაგალითად, 2018 წლის 11 თებერვლიდან მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ სატელეფონო ხაზის „112“-ის მომსახურებით ისარგებლონ ხაზზე დარეკვის გარეშე აპლიკაციის მეშვეობით და SOS ღილაკით შეტყობინება გააგზავნონ დანაშაულის შესახებ, პარალელურად გააგზავნონ მათი ადგილმდებარეობის კოორდინატები.

²⁸ შეადარე. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2017. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, გვ.27.

გამოვლენის მაჩვენებელი, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით. აგრეთვე სათანადოდ მომზადებული კადრების საჭირო რაოდენობამდე გაზრდა და საზოგადოების მხრიდან ნდობის მოპოვებაზე ზრუნვა.

დასკვნა

ოჯახში ძალადობა რთული, კომპლექსური და ზედმეტად პირადი საკითხია. იგი მოიცავს ადამიანთა თანაცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს და წარმოადგენს დევიაციურ სოციალურ მოვლენას. სტატიაში განხილულმა თეორიულმა პარადიგმებმა ნათლად წარმოაჩინა აღნიშნული მოვლენის მრავალფეროვანი დეტერმინანტები, დაწყებული ინდივიდუალური ფაქტორებიდან, დამთავრებული სოციოკულტურული ნორმებითა და გენდერული უთანასწორობით.

ნაშრომში დეტალურად გაანალიზებულმა ძალადობის ფორმებმა ნათლად წარმოაჩინა, თუ რა დამანგრეველი ეფექტის მატარებელია აღნიშნული დანაშაული, არამხოლოდ დანაშაულის უშუალო მსხვერპლზე, არამედ ოჯახის სხვა წევრებისთვისაც, განსაკუთრებით კი მცირეწლოვან და არასრულწლოვან პირთა ნორმალურ განვითარებაზე.

ერთ-ერთ საკვანძო საკითხად კვლავ რჩება ოჯახში ძალადობის გამოვლენის, ლატენტურობის პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს

ზემოაღნიშნული დანაშაულის გამოძიებასა და მსხვერპლთა დაცვას. ამ კონტექსტში კვლევამ ხაზი გაუსვა სტატისტიკური ინფორმაციის გააზრების მნიშვნელობას, განსაკუთრებით კი დანაშაულის მსხვერპლის მიერ ძალადობის ცალკეული ფორმის აღქმის საკითხს. გამოიკვეთა მკაფიო პირდაპირპროპორციული კავშირი განათლების დონესა და ძალადობის ფორმის აღქმის სიზუსტესთან. ანუ, რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო უკეთ აცნობიერებს ძალადობის ცალკეულ ფორმებსა და მათ ფარულ გამოვლინებებს. აღნიშნული კი მიუთითებს ცნობიერების ამაღლებისა და განათლების კრიტიკულ საჭიროებაზე. სამწუხაროდ, ოფიციალური დანაშაულის სტატისტიკა ცალკეული ძალადობის ფორმების მიხედვით მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პრობლემის სიმწვავესა და მასშტაბებს.

მიუხედავად მიღწეული გარკვეული პროგრესისა, ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა კვლავაც გრძელვადიან და კომპლექსურ ამოცანად რჩება, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეებისა და თითოეული მოქალაქის კოორდინირებულ და თანმიმდევრულ ძალისხმევას. მნიშვნელოვანია, ინოვაციური და ეფექტიანი პრევენციული პროგრამების შემუშავება და დაზარალებულთა რეაბილიტაციისათვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა. ვინაიდან, ოჯახში ძალადობისაგან თავისუფალი და ღირსეული საზოგადოების „მშენებლობა“ საერთო პასუხისმგებლობაა.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არასამთავრობო ორგანიზაცია საფარი, 2016. რა არის ოჯახში ძალადობა? [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/14ul8> [წვდომის თარიღი 15.05.2025].
2. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2017. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში.
3. გოგუაძე, ე., 2017. აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2.
4. დვალაძე, ი., ხარანაული, ლ., თუმანიშვილი, გ. და წიქარიშვილი, კ., 2019. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბილისი: იურისტების სამყარო.
5. დვალაშვილი, დ., 2013. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში. გაეროს ბავშვთა ფონდი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.unicef.org/georgia/media/2066/file> [წვდომის თარიღი 15.05.2025].
6. თოდრაძე, გ., „რედ.“ 2024. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური პუბლიკაცია, ქალი და კაცი საქართველოში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/18NZ4> [წვდომის თარიღი 15.05.2025].
7. კოჭლამაზაშვილი, ბ., 2019. ოჯახში ძალადობის საქმეებზე კვალიფიკაციის პრობლემური ასპექტები. მართლმსაჯულება და კანონი, 2(62).
8. მესხი, მ., 2011. ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1.
9. სააკაშვილი, ნ., 2019. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების თავისებურებანი. პოლიცია და უსაფრთხოება, 1.
10. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2015. ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების სამართლებრივი საჭიროებების კვლევა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/19hdi> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
11. სუმბაძე, ნ., 2014. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღქმა თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, 2014 წლის ნოემბრის ანგარიში.
12. ფერაძე, მ., მიქანაძე, გ. და სააკაშვილი, ნ., 2011. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისთვის, სასწავლო კურსი თემაზე: ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
13. ღია საზოგადოების ფონდი და კოალიცია თანასწორობისთვის, 2019. დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისათვის საქართველოში, 2019 წლის ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/19cPc> [წვდომის თარიღი 15.05.2025].
14. შალიკაშვილი, მ., 2011. ვიქტიმოლო-

გია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი: მერი-დიანი.

15. ჩიტაშვილი, მ. და სხვები, 2010. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა. საბოლოო ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/19cVN> [წვდომის თარიღი 15.05.2025].
16. Emerson Dobash, R. and Dobash, R.P., 1992. Women, Violence and Social Change, Oxon: Routledge.
17. Kathleen, J.T., "The Battered Women Movement and the Creation of the Wife Beating Problem." Social Problems, Oxford University press 1982, 29.

ინტერნეტ რესურსები:

18. სტატისტიკური ინფორმაცია, 2015 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/644fc1fbeece.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
19. სტატისტიკური ინფორმაცია, 2016 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/644fc2414cb0d.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
20. სტატისტიკური ინფორმაცია, 2017 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/644fc28277965.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
21. სტატისტიკური ინფორმაცია, 2018 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/6037653bc2f2b.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
22. სტატისტიკური ინფორმაცია, 2019 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/603766127a88d.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
23. სტატისტიკური ინფორმაცია, 2020 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/6037669b135d6.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
24. სტატისტიკური ინფორმაცია, 2021 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:

<https://info.police.ge/uploads/620a27a26ae30.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].

25. სტატისტიკური ინფორმაცია, 2022 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/63d8e6f9f210a.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
26. სტატისტიკური ინფორმაცია, 2023 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/65e5ccbc11080.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
27. სტატისტიკური ინფორმაცია, 2024 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/679cc44629ff9.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
28. სტატისტიკური ინფორმაცია, 2025 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/68138561c1439.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].

ნორმატიული მასალა:

1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=275> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=191> [წვდომის თარიღი 14.05.2025]. (ძალადაკარგულია).
6. Mose, E., 2010. Constitutional Review and Implementation. International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sZclN>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].
2. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4n78a8x>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

№4108. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3BZX3YS>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

4. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ №07-3/237. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/44GsWVI>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].
5. საქართველოს კანონი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4385eho>> [წვდომის თარიღი: 05.04.2025].

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №1/4/592).
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №3/1/659).
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის განჩინება (საქმე №2/16/1218).
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/8/765).
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/13/1234,1235).
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №1/1/655).
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის განჩინება (საქმე №2/12/1237).
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №1/6/1320).

9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/1434,1466).
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/1481).

Implementation. International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium. (in English)

6. Schwartz, H., 2003. Establishment of Constitutional Justice in Post-Communist Europe. Tbilisi: Airis Georgia, Publishing House Sezane. (in Georgian)

ინტერნეტ რესურსები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2017. 2019. 2020. ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე წლიური ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qhb7KA> [წვდომის თარიღი 05.04.2025].
2. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2020. 2021. 2022. 2023 წლის ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4izJjGO> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

Normative Materials:

1. Constitution of Georgia. [Online] available at: <https://bit.ly/3sZclN> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)
2. Organic Law of Georgia on the Constitutional Court of Georgia. [Online] available at: <https://bit.ly/4n78a8x> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)
3. Law of Georgia “On Amendments to the Criminal Procedure Code of Georgia” No. 4108. [Online] available at: <https://bit.ly/3BZX3YS> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)
4. Law of Georgia “On Amendments to the Criminal Procedure Code of Georgia” No. 07-3/237. [Online] available at: <https://bit.ly/44GsWVI> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)
5. Law of Georgia “On Amendments to the Law of Georgia on the Special Penitentiary Service”. [Online] available at: <https://bit.ly/4385eho> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)

BIBLIOGRAPHY:

Used literature:

1. Benidze, O., 1997. Enforcement of Decisions of the Constitutional Court of Georgia. Adamiani da Konstitutsia, 2. (in Georgian)
2. Gegenava, D., 2012. Constitutional Justice in Georgia: Main Systemic Problems of Judicial Proceedings, Tbilisi: David Batonishvili Law Institute Publishing House. (in Georgian)
3. Melkadze, O., 1998. Constitutional Control - On the Essential Meaning of the Term. Adamiani da Konstitutsia, 1. (in Georgian)
4. Melkadze, O. and Dvali, B., 2001. Rules for the Formation of Constitutional Courts and Procedural Features. Adamiani da Konstitutsia, 1. (in Georgian)
5. Mose, E., 2010. Constitutional Review and

Judicial Practice:

1. The decision of the Constitutional Court of Georgia, 24 October 2015 (case No. 1/4/592). (in Georgian)
2. The decision of the Constitutional Court of Georgia, 15 February 2017 (case No. 3/1/659). (in Georgian)
3. The decision of the Constitutional Court of Georgia, 16 November 2017 (case No. 2/16/1218). (in Georgian)
4. The decision of the Constitutional Court

- of Georgia, 7 December 2018 (case No. 2/8/765). (in Georgian)
5. The decision of the Constitutional Court of Georgia, 14 December 2018 (case No. 2/13/1234,1235). (in Georgian)
 6. The decision of the Constitutional Court of Georgia, 18 April 2019 (Case No. 1/1/655). (in Georgian)
 7. The decision of the Constitutional Court of Georgia, 24 October 2019 (Case No. 2/12/1237). (in Georgian)
 8. The decision of the Constitutional Court of Georgia, 28 December 2021 (case No. 1/6/1320). (in Georgian)
 9. The decision of the Constitutional Court of Georgia, 25 February 2022 (case No. 2/1/1434,1466). (in Georgian)
 10. The decision of the Constitutional Court

of Georgia, 3 February 2023 (case No. 2/1/1481). (in Georgian)

Internet Resources:

1. Constitutional Court of Georgia. 2017. 2019. 2020. Information on Constitutional Legality in Georgia, Annual Report. [Online] available at: <https://bit.ly/3qhb7KA> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)
2. Report of the Legal Affairs Committee of the Parliament of Georgia for 2020. 2021. 2022. 2023. [Online] available at: <https://bit.ly/4izJjGO> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)

ICC-ის იურისდიქციის ფარგლები პოლიტიკურ-სამართლებრივი ექსტრადიციის ბანხორციელებისას

ლია ნახუცრიშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მაწავლებელი
საქართველო, თბილისი
ელ.ფოსტა: nakhutsrishvili.l@gtu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ექსტრადიქციის სამართლებრივი საფუძვლები, მათი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან გაფორმებული ხელშეკრულებები და ეროვნული კანონმდებლობა. ყურადღება გამახვილებულია ექსტრადიქციის პოლიტიზაციაზე, იმაზე, თუ როგორ შეუძლია მთავრობას გამოიყენოს ექსტრადიქცია, როგორც პოლიტიკური მანევრირების, საერთაშორისო ურთიერთობებსა და საშინაო პოლიტიკაზე ზემოქმედების ინსტრუმენტი. კვლევის მიზანია ექსტრადიქციის პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზი საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროში, პრობლემების ნათლად ჩარმოჩენა, გადაჭრის გზების ძიება. ყურადღება გამახვილებულია ექსტრადიქციისა და დიპლომატიის გადაკვეთის წერტილებზე, ხაზგასმულია, თუ როგორ სცდება პირის გადაცემის საქმეები ხშირად სამართლებრივ ჩარჩოებს. ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო ხელშეკრულებების არსებობაზე, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე. განხილულია დადებითი და უარყოფითი შედეგები, რომლებიც შესაძლოა მოგვიტანოს სახელმწიფოს აქტიურმა ჩართულობამ გადაცემის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნები და ჩამოთვლილია გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც შეიძლება დაგვეხმაროს შემდგომში ექსტრადიქციის ფართო ჭრილში აღქმასა და მასში სამართლებრივი ნაწილის მნიშვნელობის დანახვაში, რათა სახელმწიფომ და სამართალმა ერთობლიობაში შეძლონ კანონის უზენაესობის დაცვით პირის გადაცემის საკითხის გადაწყვეტა.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო სამართალი, სისხლის სამართალი, პოლიტიკა, დანაშაული

THE SCOPE OF ICC JURISDICTION IN THE IMPLEMENTATION OF POLITICAL-LEGAL EXTRADITION

Lia Nakhutsrishvili

PhD student of the Faculty of Law at Caucasus International University, lecturer at Georgian Technical University

Georgia, Tbilisi

Email: nakhutsrishvili.l@gtu.ge

ABSTRACT

The article discusses the legal foundations of extradition, including international treaties and national legislation. The focus is on the politicization of extradition, on how governments can use extradition as a tool for political maneuvering, influencing international relations and domestic politics. The aim of the study is to conduct a political-legal analysis of extradition in the field of international criminal law, to clearly present the problems and find solutions. It discusses the intersection points of extradition and diplomacy, emphasizing how extradition cases often go beyond the legal framework. The emphasis is on the importance of the existence of international treaties, the fulfillment of the requirements stipulated by law. The positive and negative consequences that the active involvement of the state in making decisions on extradition are discussed.

The paper draws conclusions and lists certain recommendations that may help us further view extradition in a broader perspective and see the importance of the legal part in it, so that the State and the law can jointly resolve the issue of extradition of a person while respecting the rule of law.

KEYWORDS: International Law; Criminal Law; Politics; Crime

შესავალი

ექსტრადიგია წარმოადგენს საერთაშორისო სისხლის სამართლის კრიტიკულ მექანიზმს, რომელიც სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს, ბრალდებული, მსჯავრდებული პირები გადასცენ სხვა იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს განაჩენის გამოსატანად ან აღსასრულებლად. კვლევაში განხილულია ექსტრადიგიის თეორიული საფუძვლები. საკანონმდებლო ჩარჩო, პრაქტიკული გამოწვევები გაანალიზებულია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან მიმართებაში.

ექსტრადიგიის თემის აქტუალობა საერთაშორისო სისხლის სამართლის მეცნიერებაში მრავალმხრივია, იგი მოიცავს სამართლებრივ, პოლიტიკურ, ადამიანის უფლებათა სფეროებს. ვინაიდან დანაშაული სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს. მის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების შემუშავება, რომელიც გლობალურად იმოქმედებს, მეტად აქტუალურია.

კვლევის საგანს წარმოადგენს ექსტრადიგიის პროცესი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ფარგლებში. რაც მოიცავს პრინციპებს, პრაქტიკას, სამართლებრივ ინსტრუმენტებს და თეორიულ საფუძვლებს, რომლებიც არეგულირებს ინდივიდების ექსტრადიგიას სუვერენულ სახელმწიფოებს შორის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ან სასჯელის მოხდის მიზნით.

კვლევაში გამოყენებულია სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, რადგან ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში აუცილებელია ადამიანის უფლებების პრიორიტეტული დაცვა, მართლმსაჯულების განხორციელება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ნაშრომში გამოვიყენეთ შემდეგი კვლევის მეთოდები: დიალექტიკური; საქმის შესწავლის (case study); ისტორიულ შედარებითი; სტატისტიკური; შედარებით-სამართლებრივი შეპირისპირების; თვისობრივი; ნორმატიული; რაოდენობრივი.

ექსტრადიგია მნიშვნელოვანია როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად, რადგან ის კვეთს სუვერენიტეტის, ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს. ემსახურება როგორც გადამწყვეტ ინსტრუმენტს ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლაში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებაში, ეროვნული უსაფრთხოების დაცვაში, სამართლიანობის ხელშეწყობაში, გლობალური წესრიგისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში.

სტატიაში განხილულია ის ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც აფერხებს ექსტრადიგიის საკითხის დროულად და სამართლებრივად გადაწყვეტას, სიძველეს წარმოადგენს ექსტრადიგიის სამართლებრივი ჰარმონიზაციის ჭრილობაში გაანალიზება, ასევე ისიც, რომ განხილულია სამართლისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი ექსტრადიგიის განხორციელებისას.

1. ექსტრადიგიის ისტორიული ნარკვევები

გადაცემა ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. ექსტრადიგიის ფაქტები დაფიქსირებულია ჯერ კიდევ ეგვიპტის მმართველის რამზეს მეორისა და ხეთების პრინცის ჰატტუსილ მესამის დროს.¹ ძველად სახელმწიფო, რომელიც შეიფარებდა დანაშაულის ჩამდენ პირს, ითვლებოდა მოწამლულად, შეიძლება ეს

¹ შეადარე. Breasted, J., 1952. A History of Egypt from the earliest times to the Persian conquest. გვ. 438.; O.R. Gurney, the hittites, გვ. 63.

საკითხი ომშიც კი გადაზრდილიყო.² რაც შეეხება სიტყვა ექსტრადიციას, ხშირად არასწორად არის დამკვიდრებული ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში და მას მოიხსენიებენ როგორც ექსტრადაცია, რაც სრულიად არასწორი ტერმინია.³ სიტყვა extradition ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს გადაცემას, ჩაბარებას. იგი გახლავთ ფორმალური პროცესი, რომლის დროსაც ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისთვის ხდება პირის გადაცემა, საერთაშორისო ხელშეკრულებების ან დიპლომატიური მოლაპარაკებების საფუძველზე.⁴

1736 წლის ზაფხულში ავსტრიის და ნიდერლანდების გუბერნატორებმა - ორივემ გამოსცა დეკლარაცია, რომელშიც გათვალისწინებული იყო დანაშაულის ჩამდენი პირების ექსტრადირება, ანუ მოთხოვნა, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. იგი მხოლოდ ზოგად ხასიათს ატარებდა, მასში არ იყო ნახსენები გადაცემის რა პირობები არსებობდა ან გადაცემაზე უარს რა შემთხვევაში ექნებოდა ადგილი.⁵ ერთ-ერთი პირველი აქტი, რომელიც ითვალისწინებდა ექსტრადიციას, 1833 წელს მიიღო ბელგიამ.⁶

მნიშვნელოვანია 1907 წლის კონვენცია საერთაშორისო დავების გადაწყვეტის შესახებ. აღნიშნული კონვენციის არსებობის მიუხედავად, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, აქტიურად დაისვა ომის

დანაშაულში ბრალდებულ პირთა საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი საკითხი, რომელიც პრაქტიკულად არ განხორციელდა - სოციალური სამხედრო ტრიბუნალის წინაშე გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ მეორისა და სხვა ბრალდებულთა პასუხისგებაში მიცემა. აქ თავი იჩინა არაერთმა პრობლემამ, მათ შორის ექსტრადიციის საკითხის დაუმუშავებლობამაც. ჰოლანდიამ უარი თქვა გერმანიის ყოფილი იმპერატორის გადაცემაზე.⁷

2. ექსტრადიცია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ჭრილში

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო არ ეყრდნობა ექსტრადიციას, როგორც ასეთს, ხელმძღვანელობს “რომის სტატუტით” და აღნიშნულის შესაბამისად ახორციელებს გადაცემას. მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ იურიდიული ვალდებულება, დააკავონ და გადასცენ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ ბრალდებული პირები. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან რომის სტატუტის მონაწილენი,

² შეადარე. Hessbruegge, Jan, Arno. 2004. The Historical Development of the Doctrines of Attribution and Due Diligence in International Law. New York University. International Law and Politics (JILP), Vol. 36, გვ. 278.

³ შეადარე. უგრეხელიძე, მ., 2015. შესავალი სიტყვა, სამართალი და მსოფლიო, სპეციალური გამოცემა. 2, გვ. 14.

⁴ შეადარე. Stanbrook, I., 2000. Clive Stanbrook, extradition: Law And Practice. Oxford University Press.

⁵ შეადარე. Lesaffer, R., So that Crimes Would Not Go Unpunished: Extradition Treaties in the 18th Century, Oxford Public International Law.

⁶ შეადარე. Wise-Edward, M., 1982. The Political Offence Exception to Extradition: The Delicate Problem of Balancing the Rights of the Individual and the International Public Order Christine van den Wijngaert, Published By: Oxford University Press, The American. Comparative Law, 30 (2), გვ. 365.

⁷ შეადარე. გვარამია, მ., 2002. საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებული პირის ექსტრადიცია. გვ. 5.

არ იღებენ ბრალდებულის გადაცემის ვალდებულებას, შესაბამისად, ისინი არ ექვემდებარებიან უშიშროების საბჭოს მიმართვას⁸ (მაგ., სუდანი, ლიბია).

საერთაშორისო სამართლებრივი დოქტრინა ექსტრადიციას განსაზღვრავს, როგორც სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ამსახველ მექანიზმს, რომელიც უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო და ტრანსნაციონალური დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად. პროცესი, როგორც წესი, მოიცავს დიპლომატიურ, სასამართლო ურთიერთქმედებას მომთხოვნ და მიმღებ სახელმწიფოებს შორის, სასამართლო შეფასებას, საბოლოო აღსრულებას ან დასაბუთებულ უარს. რაც ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა თანამშრომლობისა და დამნაშავეთა დასჯისათვის.

საერთაშორისო სისხლის სამართლის კონტექსტში, ექსტრადიცია განსაკუთრებულ სირთულეს იძენს, როდესაც ის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC) საქმიანობასთან არის დაკავშირებული. რომის სტატუტით დაარსებული ICC ფუნდამენტურად განსხვავდება ტრადიციული ექსტრადიციის პროცესებისგან, რადგან ის ეყრდნობა ჩაბარებას და არა ექსტრადიციას. ექსტრადიციისგან განსხვავებით, გადაცემა არ არის აუცილებლად დამოკიდებული ორმხრივ შეთანხმებებზე, არამედ ვალდებულია მრავალმხრივი სახელმწიფოებს შორის ვალდებულებებით, რომელთა მხარეებიც არიან წევრი სახელმწიფოები.

სასამართლოს შეუძლია პირის დაკავების და გადაცემის მოთხოვნა შესაბამის მასალებთან ერთად გადასცეს ნებისმიერ

სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც ეს პირი შესაძლოა იმყოფებოდეს და სთხოვოს ამ სახელმწიფოს თანამშრომლობა მსჯავრდებული პირის დაპატიმრებასა და გადაცემაში. მონაწილე სახელმწიფოებმა, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და თავიანთი ეროვნული სამართლით განსაზღვრული პროცედურის თანახმად, უნდა შეასრულონ დაპატიმრება/გადაცემის მოთხოვნები,⁹ რომლებსაც, სამწუხაროდ, პრაქტიკაში ხშირად ვერ ვხვდებით.

ზოგჯერ სახელმწიფოებმა შესაძლოა უარი თქვან ექსტრადირებაზე პოლიტიკური მიზეზების გამო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრალდებული მაღალ თანამდებობას იკავებს ან პოლიტიკური დაცვით სარგებლობს. ამის ნათელი მაგალითია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ გაცემული დაპატიმრების ორდერი, როდესაც არაერთმა სახელმწიფომ უარი თქვა ომარ ალ-ბაშირის დაპატიმრებაზე.¹⁰ სახელმწიფოებში ვიზიტების დროს ზოგიერთი სახელმწიფო თავის გადაწყვეტილებას ასაბუთებდა ომარ ალ-ბაშირის იმუნიტეტის ქონით, ზოგი კი მიიჩნევდა, რომ მისი დაკავება და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის გადაცემა, მათთვის პოლიტიკურად ხელსაყრელი არ იქნებოდა. მიმაჩნია, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის სახელმწიფოსგან ხელშემკვრელი პროცედურები ხშირად უფრო მარტივია, ვიდრე ტრადიციული ექსტრადიცია, რადგან იგი გვერდს უვლის პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნებს. სასამართლო ამასთანავე დგას დიდი გამოწვევების წინაშე, რადგან საერთაშორისო სისხლის

⁸ შეადარე. Article 59, Rome Statute of the International Criminal Court. Adopted in Rome, July 17, 1998.

⁹ შეადარე. Article 90, Rome Statute of the International Criminal Court. Adopted in Rome, July 17, 1998.

¹⁰ შეადარე. The Prosecutor v. Omar Hassan Ahmad Al Bashir. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.aba-icc.org/cases/case/the-prosecutor-v-al-bashir/> [წვდომის თარიღი 03.04.2025].

სამართლის სასამართლოს არ ჰყავს საკუთარი პოლიცია. დაპატიმრების ორდერების აღსრულება მთლიანად სახელმწიფოებზეა დამოკიდებული, რაც, ვფიქრობ, რომ ეროვნულ იურისდიქციებთან შედარებით ასუსტებს მის აღსრულების შესაძლებლობას.

საქართველო მიერთებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებს, თუმცა ექსტრადიცია რეგულირდება შიდა კანონმდებლობის დონეზე, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსით ექსტრადიცია განმარტებულია ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსთვის პირის გადაცემად.¹¹ იგი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს. მოთხოვნაც და პასუხიც წერილობითია, ხოლო, თუ პირი სასჯელს საქართველოს ტერიტორიაზე იხდის, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ექსტრადიცია გადავადდეს სასჯელის ვადის გასვლამდე.¹²

საქართველოს რამდენიმე ქვეყანასთან აქვს ორმხრივი და მრავალმხრივი ექსტრადიციის ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია პირობები, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება პირის გადაცემა. როგორც წესი, მომთხოვნმა ქვეყანამ უნდა წარადგინოს ოფიციალური მოთხოვნა ექსტრადიციის შესახებ დიპლომატიური არხებით, რომლებიც მოიცავს ყველა შესაბამის იურიდიულ დოკუმენტაციას და მტკიცებულებას.

ექსტრადიციის მოთხოვნები ექვემდებარება სასამართლო განხილვას საქართველოს სასამართლოებში, სადაც ფასდება, აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნა საკანონმდებლო მოთხოვნებს და იქნება თუ არა დაცული პირის უფლებები. ექსტრადიციის ერთ-ერთი მიზანია დანაშაულის პრევენცია და დანაშაულის აღკვეთა.

გაეროს ექსტრადიციის მოდელის ხელშეკრულება ხაზს უსვამს საერთაშორისო თანამშრომლობას ექსტრადიციასთან დაკავშირებულ საკითხებში. იგი შედგება 18 მუხლისგან. ხელშეკრულებაში საუბარია ექსტრადიციის მოთხოვნაზე, უარის თქმის საფუძვლებზე, ექსტრადირების წესებზე და ა.შ. (მაგ: დევნა რელიგიური შეხედულებების გამო, წამება და ა.შ.).

ამშ-ში ექსტრადიციის კონსტიტუციური საფუძველი მოცემულია კონსტიტუციის IV მუხლის მე-2 ნაწილში.¹³ დამნაშავის გადაცემის პირობები გათვალისწინებული ექსტრადიციის შესახებ ამშ-ს კოდექსის 3182-ე მუხლითაც.¹⁴ ექსტრადიციის განსახორციელებლად ამერიკის შეერთებული შტატები იყენებს სასამართლოს.¹⁵ დამნაშავის გადაცემის პროცედურა შტატების მიხედვით განსხვავებულია.¹⁶ ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიცია კვლავ განიხილება, როგორც სახელმწიფოებს შორის ურთიერთკავშირის ხელშეკრულება, მნიშვნელოვანია ექსტრადიციის პროცესი განვითარდეს ისე, რომ ინდივიდუალური უფლებები

¹¹ შეადარე. მუხლი 6, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22/07/1999.

¹² შეადარე. საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ. 21/07/2010, #3541-რს.

¹³ შეადარე. Article IV, section 2 of the U.S. Constitution. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.law.cornell.edu/constitution/articleiv#section2>> [წვდომის თარიღი 03.04.2025].

¹⁴ შეადარე. Article 18, U.S. Code Chapter 209 – EXTRADITION. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/part-II/chapter-209>> [წვდომის თარიღი 03.04.2025].

¹⁵ შეადარე. Branstad, 483 U.S. at 230.

¹⁶ შეადარე. 1 Stat. 302, 1793. The current interstate Extradition Act is codified at 18 U.S.C. § 3182.

და გლობალური სამართლიანობა ვიწრო სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა დადგეს, - მიიჩნევს ბასიუნი.¹⁷ იგი ზედმიწევნით იკვლევს აშშ-ის ექსტრადიციის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებს შორის ურთიერთქმედებას, უდრმავება ისეთ თემებს, როგორებიცაა: აღმასრულებელი ხელისუფლების ხელშეკრულებების დადების უფლებამოსილება, სასამართლო ზედამხედველობა და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების უფლებები, რომლებიც ძალზე საინტერესოა.

დანამატის წინააღმდეგ ბრძოლაში ეფექტური სამართლებრივი თანამშრომლობის დასახმარებლად, ევროკავშირის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭომ შეიმუშავა ორი კონვენცია: ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის პროცედურების გამარტივებისა და გაუმჯობესებისთვის. ამით საბჭომ წამოიწყო პროცესი, რომლითაც ექსტრადიციის არსებულ ღონისძიებებს უფრო მოქნილს გახდიდა. 1995 წელს საბჭომ რეკომენდაცია გაუწია ექსტრადიციის შესახებ კონვენციის მიღებას სისხლის სამართლის სფეროში. ყოველივე ამის მიზანი იყო ექსტრადიციის დაჩქარება იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოები თანხმობას აცხადებდნენ ექსტრადირებაზე. თუმცა, ექსტრადიციის სხვა ასპექტებთან დაკავშირებით, შემდგომი განხილვისას საბჭომ საბოლოოდ რეკომენდაცია გაუწია წევრ სახელმწიფოებს, რათა მიეღოთ ბევრად უფრო რადიკალური ზომები. 1996 წლის კონვენცია ეხება წევრ სახელმწიფოებს შორის არანებაყოფლობით ექსტრადიციას.¹⁸

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული ექსტრადიციის მექანიზმები ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობისთვის, სახელმწიფო პრაქტიკასა და საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებში მნიშვნელოვანი ცვლილებები აუცილებელია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიზნებთან სრულად შესაბამისობაში მოსაყვანად. ეფექტური საერთაშორისო მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად სასწრაფოდ საჭიროა გაძლიერებული თანამშრომლობა, რეფორმირებული სახელმწიფოებო ვალდებულებები და გაძლიერებული აღსრულების მექანიზმები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ექსტრადიციის პროცესები, რომლებიც თავისთავად ორმხრივი და დისკრეციულია, მკვეთრად ეწინააღმდეგება რომის სტატუტით გათვალისწინებულ გადაცემის სავალდებულობას. ამიტომაც ჩნდება ლოგიკური კითხვა: შეესაბამება თუ არა ექსტრადიციის ხელშეკრულებები საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპებს? ლოგიკურია, რომ არა, რადგან, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ექსტრადიცია, როგორც ასეთი, ცალკე ფენომენია, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს კი თავისი შიდა გადაცემის სისტემა აქვს და არ არის ექსტრადიციის ხელშეკრულებების ხელმომწერი. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გადაცემის პროცედურას აღიარებენ ის ქვეყნები, რომლებიც თანამშრომლობენ აღნიშნულ სასამართლოსთან და არიან რომის სტატუტის ხელმომწერნი.

¹⁷ შეადარე. Bassiouni, M. Cherif, 2014. International Extradition: United States Law and Practice. Oxford University.

¹⁸ შეადარე. Warbrick, C., McGoldrick, D., Mackarel, M. and Nash, S., 2008. Extradition and the European Union, Published Cambridge University Press.

3. ექსტრადიციის პოლიტიკური ხასიათი და პრაქტიკული მაგალითები

განვითარებულ თუ განვითარებად სახელმწიფოთა თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია დანაშაულის აღკვეთა. ზოგჯერ სახელმწიფოს, სადაც დამნაშავემ შეაფარა თავი, არ შეუძლია დამნაშავის მიმართ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგალითად, როდესაც მასთან ჩადენილი ქმედება არ ითვლება დანაშაულად.

ექსტრადიცია სამართლებრივი ფენომენია, თუმცა მას აქვს პოლიტიკური ხასიათიც, რადგან ხშირად სახელმწიფოთა მხრიდან საკმაოდ აქტიური დიპლომატიური ჩარევა ხდება ამ პროცესში. პოლიტიკურ ჩარევას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. დადებითად შეიძლება განვიხილოთ სახელმწიფოს მხრიდან აქტიური დიპლომატიური ჩართულობა მაშინ, როდესაც არ არსებობს ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, პირის გადაცემა კი ვერ ხერხდება სამართლებრივი საშუალებებით. ხოლო უარყოფითია ის, რომ სამართალზე მაღლა შესაძლებელია პოლიტიკური ინტერესები დადგეს და სახელმწიფომ იმოქმედოს არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, არამედ პირადი ინტერესებით, რაც ხელს უშლის დამნაშავის დასჯას. ყოველივემ შესაძლოა გააფუჭოს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობა. განვიხილოთ ექსტრადიციის რამდენიმე მაგალითი:

ჯულიან ასანჟი

ასანჟმა დააარსა WikiLeaks 2006 წელს. მან მიიპყრო საერთაშორისო მედიის ყურადღება 2010 წელს, როდესაც WikiLeaks-მა გამოაქვეყნა აშშ-ს არმიის დაზვერვის ანალიტიკოსის, ჩელსი მენინგის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. რომელიც მოიცავდა მკვლელობის ვიდეოს, ერაყისა და ავღანეთის ომის შესახებ ინფორმაციას და აშშ-ს დიპლომატიურ დოკუმენტებს. ასანჟს თავდაპირველად შვედეთი ეძებდა სექსუალური ძალადობის ბრალდებების გამო, რომლებიც მან უარყო. ის დააკავეს დიდ ბრიტანეთში, მაგრამ 2012 წელს ლონდონში ეკვადორის საელჩოში ითხოვა თავშესაფარი, რათა თავიდან აეცილებინა ექსტრადიცია შვედეთსა და შემდგომში აშშ-ში. 2019 წლის აპრილში ასანჟი დააკავა გაერთიანებული სამეფოს პოლიციამ მას შემდეგ, რაც ეკვადორმა გაუქმა თავშესაფარი. მას ემუქრებოდა ექსტრადიცია შეერთებულ შტატებში, კიბერთავდასხმაში შეთქმულებისა და ჯაშუშობის აქტის დარღვევის ბრალდებით. დიდი ბრიტანეთის სასამართლომ 2021 წელს მიიღო ასანჟის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც ერთი წლის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა.¹⁹

ედვარდ სნოუდენი

2013 წელს სნოუდენმა გაასაჯაროვა NSA-ს საიდუმლო დოკუმენტები,²⁰ სათვალთვალო პროგრამის შედეგად მო-

¹⁹ შეადარე. In the United States District Court For the Eastern District of Virginia. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.justice.gov/d9/press-releases/attachments/2019/04/11/assange-indictment_0_0.pdf > [წვდომის თარიღი 03.04.2025]

²⁰ შეადარე. The case of Edward Snowden, 2020. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.justice.gov/opa/pr/united-states-obtains-final-judgment-and-permanent-injunction-against-edward-snowden> > [წვდომის თარიღი 03.04.2025].

პოვებული მონაცემები, რომლებიც ახორციელებდა მასებზე თვალთვალს. ინფორმაციის გავრცელებამ საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. სწორედ ეს თავდაპირველად ჰონგ კონგში გაიქცა, შემდეგ კი რუსეთში, სადაც მას დროებითი თავშესაფარი მიეცა. შეერთებულმა შტატებმა მას ბრალად წაუყენა სახელმწიფო ქონების ქურდობა და ჯაშუშობის აქტის დარღვევა. სწორედ ამ დრომდე რჩება რუსეთში, სადაც მას მუდმივი ბინადრობის უფლება 2020 წელს მიენიჭა.²¹

სოპინ ელ ჩაპო გუზმანი

გუზმანი ხელმძღვანელობდა Sinaloa Cartel-ს, ნარკოტიკებით ვაჭრობის მძლავრ ორგანიზაციას. ის ცნობილი იყო გვირაბების უზარმაზარი ქსელით, რომელიც გამოიყენებოდა ნარკოტიკების გადასატანად აშშ-მექსიკის საზღვარზე. 2016 წელს მექსიკის ხელისუფლების მიერ ხელახლა დაკავების შემდეგ, გუზმანი 2017 წელს აშშ-ში იქნა ექსტრადირებული. 2019 წელს გუზმანი გაასამართლეს აშშ-ს ფედერალურ სასამართლოში მრავალი ბრალდებით, მათ შორის ნარკოტიკებით ვაჭრობასა და ფულის გათეთრებაში. ის სამუდამო პატიმრობას იხდის ვადამდელი გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე, კოლორადოს მაქსიმალური უსაფრთხოების ციხეში ADX Florence. სასამართლო პროცესზე მტკიცებულებამ დაადგინა, რომ გუზმან ლოერა იყო მექსიკაში დაფუძნებული ნარკომანიის საერთაშორისო ორგა-

ნიზაციის Sinaloa Cartel-ის ლიდერი, რომელიც პასუხისმგებელია შეერთებულ შტატებში მილიონ კილოგრამზე მეტი კოკაინის, მარიხუანას, მეტამფეტამინისა და ჰეროინის იმპორტსა და გავრცელებაზე. საქმე გამოიძიეს DEA-მ, ICE HSI-მ და FBI-მ მექსიკის, ეკვადორის, ნიდერლანდების, დომინიკისა და კოლუმბიის სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობით.²²

რომან პოლანსკი

პოლანსკი გაიქცა აშშ-დან 1978 წელს მას შემდეგ, რაც ამერიკის სასამართლომ დამნაშავედ სცნო 13 წლის გოგონასთან უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარებაში. ის თავდაპირველად დათანხმდა საპროცესო შეთანხმებას, მაგრამ განაჩენის გამოტანამდე დატოვა ქვეყანა.

წლების განმავლობაში აშშ-მ რამდენჯერმე სცადა პოლანსკის ექსტრადირება სხვადასხვა ქვეყნიდან. 2009 წელს ის დააკავეს შვეიცარიაში, მაგრამ საბოლოოდ არ იქნა ექსტრადირებული. პოლანსკი ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც აგრძელებდა კინორეჟისორად მუშაობას. საფრანგეთი არ ახორციელებს თავისი მოქალაქეების ექსტრადირებას და პოლანსკი შეერთებული შტატების ხელისუფლებისთვის მიუწვდომელია.²³

კუზერაშვილის საქმე

საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით კუზერაშვილის, ექსტრადიციის მოთხოვნა ლონდონის ვეს-

²¹ შეადარე. The Snowden Effect. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://casestudies.law.harvard.edu/the-snowden-effect/> [წვდომის თარიღი 03.04.2025].

²² შეადარე. Joaquin, El Chapo, Guzman, Sinaloa Cartel Leader, Sentenced to Life in Prison Plus 30 Years [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.justice.gov/opa/pr/joaquin-el-chapo-guzman-sinaloa-cartel-leader-sentenced-life-prison-plus-30-years> [წვდომის თარიღი 03.04.2025].

²³ შეადარე. Polanski, R., Cannot Be Extradited To U.S.; Polish Supreme Court's Final Ruling. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://deadline.com/2016/12/roman-polanski-extradition-polish-supreme-court-final-ruling-1201865136/> [წვდომის თარიღი 03.04.2025].

ტმინსტერის სამაგისტრო სასამართლომ არ დააკმაყოფილა. აღნიშნულ პიროვნებას საქართველოში რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეში ედებოდა ბრალი. გაერთიანებული სამეფოს სასამართლომ მის გადაცემაზე უარი განაცხადა პოლიტიკური მოტივით.

სავარკარის საქმე

1909 წელს (AMT) ჯექსონი, ნაშიკის კოლეჯციონერი, ადგილობრივებმა (ინდოელებმა) მიიწვიეს მათ მიერ ორგანიზებულ დონისძიებაზე, რომელიც ცნობილი იყო მარათას სპექტაკლის სახელწოდებით Sangeet Sharada, სპექტაკლმა ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბავშვთა ქორწინების შეზღუდვის საქმეში. სპექტაკლის დღეს ჯექსონი სამმა ინდოელმა რევოლუციონერმა დახვრიტა. გამოძიება დაიწყო იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებით ინდოეთის სისხლის სამართლის კოდექსის - 121-A, IPC მუხლით.²⁴ იგი გაიქცა, თუმცა სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი იარაღის უკანონო მიწოდებისთვის.

1910 წელს ვინაიკ დამოდარ სავარკარი ბრიტანეთიდან, გემ „მორუათი“ ინდოეთში ჩამოიყვანეს მისივე სასამართლო პროცესისთვის, ბრალი იმპერატორის ღალატსა და მკვლელობაში ედებოდა. როცა გემი მარსელში იყო, ის საფრანგეთში გაიქცა, თუმცა ფრანგმა პოლიციელმა შეცდომით შეასრულა თავისი მოვალეობა, სავარკარი დაიჭირა და ბრიტანეთის ხელისუფლებას ექსტრადიციის პროცესის გარეშე გადასცა. მოგვიანებით საფრანგეთმა ბრიტანეთს სავარკარის გადაცემა მოსთხოვა, რათა ოფიციალურად განეხორციელებინა მისი ექსტრადიციის პროცედურა. ბრიტანეთმა

უარი თქვა საფრანგეთის მოთხოვნაზე და საქმე განიხილა ჰააგის მუდმივმოქმედმა საარბიტრაჟო სასამართლომ, რომელიც დაეთანხმა ფრანგი პოლიციელის მხრიდან დარღვევას. თუმცა საფრანგეთის მოთხოვნა, ექსტრადიციის ახალი პროცედურის ჩატარების შესახებ, უარყოფილ იქნა ამ გარემოებებთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლის არარსებობის გამო.²⁵

საქმეთა ანალიზი ნათლად გვანახებს, რომ ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო თანამშრომლობას არ შესწევს ძალა განახორციელოს პირის გადაცემა, თუ საქმე სახელმწიფოს მაღალ თანამდებობის პირს ეხება. ასევე ვხედავთ, რომ აუცილებელია არსებობდეს ან შემუშავდეს მექანიზმები, რომლებიც აიძულებს სახელმწიფოებს შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მოახდინონ დამნაშავის ექსტრადირება.

დასკვნა

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ექსტრადიცია მნიშვნელოვან ადგილს იკავებს როგორც საერთაშორისო სისხლის სამართალში, ასევე ქვეყნის პოლიტიკაში. რადგან მოყვანილი მაგალითები ნათლად გვანახებს, რამდენად ხშირად ხდება სახელმწიფოთა ჩარევა სამართლებრივ ხელშეკრულებებში და ადგილი აქვს გადაწყვეტილების მიღებას სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. ექსტრადიცია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კანონისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. მაგრამ ექსტრადიციის განხორციელებისას, სახელმწიფოთა ჩარევის შედეგად

²⁴ შეადარე. Section 121A, in The Indian Penal Code, 1860. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://indiankanoon.org/doc/1949191/>> [წვდომის თარიღი 03.04.2025].

²⁵ შეადარე. The Savarkar Case. Great Britain, France. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://legal.un.org/riaa/cases/vol_XI/243-255.pdf> [წვდომის თარიღი 03.04.2025].

მიღებული შედეგები საფრთხეს უქმნის კანონიერებას და აზიანებს საერთაშორისო ხელშეკრულებების რეპუტაციას. ფაქტია, რომ ექსტრადიცია აუცილებელი ინსტრუმენტია არა მხოლოდ სამართლიანობის აღსასრულებლად, არამედ დიპლომატიური კავშირების გასაღრმავებლად, რადგან, მიუხედავად ზოგიერთ სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებების არარსებობისა, პირის გადაცემა მაინც ხორციელდება ხოლმე დიპლომატიური ჩარევის შედეგად.

წარმოდგენილმა მაგალითებმა დაგვანახა, რომ ექსტრადიციის საკითხში აქტიურად არის ჩართული პოლიტიკა და ხშირად სახელმწიფოები პირის მეორე სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას თავისი შეხედულებების და ინტერესების მიხედვით იღებენ და არა კანონმდებლობის შესაბამისად. ეს ნათლად ჩანს შემთხვევებში, სადაც ქვეყნებს შორის გაფორმებული იყო საერთაშორისო ხელშეკრულებები, თუმცა მხარეებმა არ შეასრულეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და არ გადასცეს ხელშემკვრელ ქვეყანას დამნაშავე. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დიპლომატიის ჩარევა ექსტრადიციის განხორციელებისას ზოგჯერ სასარგებლოც არის, რადგან, თუ არ არსებობს სახელმწიფოებს შორის გაფორმებული სამართლებრივი ხელშეკრულება, შეიძლება არ მოხდეს პირის გადაცემა, ან ერთი ქვეყნის მოქალაქეს უფრო მკაცრი სასჯელი შეეფარდოს, ვიდრე მის ქვეყანაში, ამიტომაც, ასეთ დროს დიპლომატიის ჩართულობა შესაძლოა ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებაც კი გახდეს. ექსტრადიციის განხორციელებისას არაერთი ფაქტორია სახელმწიფოთა მხრიდან გასათვალისწინებელი, მნიშვნელოვანია ექსტრადიცია მოხდეს ისე, რომ არ დაირღვეს ადამიანის საყოველთაოდ

აღიარებული უფლებები, ამასთანავე აღსრულდეს მართლმსაჯულება, რათა შემდგომში ადამიანებმა არ ჩაიდინონ დანაშაული იმ იმედით, რომ ისინი გაიქცევიან სხვა სახელმწიფოში და თავს აარიდებენ დასჯას.

ექსტრადიციის რთული და მრავალმხრივი ბუნება ხაზს უსვამს მის მნიშვნელოვან როლს გლობალური სამართლიანობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში. საკანონმდებლო ჩარჩოების, ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების სიღრმისეული შესწავლის და ადამიანის უფლებების, სუვერენული სახელმწიფო ინტერესების ურთიერთქმედების გზით. სტატიაში დავინახეთ ის მიდგომები, რომლებიც საჭიროა ექსტრადიციის პროცესების ეფექტურად წარმართვისთვის. ანალიზი ცხადყოფს, რომ ექსტრადიცია ემსახურება როგორც მძლავრ ინსტრუმენტს ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად და პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად, ის ასევე საჭიროებს მკაცრ გარანტიებს ინდივიდუალური უფლებების დასაცავად და პოტენციური დარღვევების თავიდან ასაცილებლად. გამოწვევებზე საპასუხოდ ექსტრადიციის კანონებისა და პრაქტიკის მუდმივი დახვეწით, საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია უკეთ დაიცვას მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებების ორმაგი იმპერატივები.

რეკომენდაციები: სამართლებრივი ექსტრადიციის პროცედურების პოლიტიკური ჩარევისგან იზოლირება - ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს სამართლებრივ პრინციპებს და არა პოლიტიკურ მიზანშეწონილობას იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებით ხელმძღვანელობენ; ხოლო პოლიტიკის ჩარევა გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოებს შორის არ არსებობს ექსტრადიციის ხელშეკრულება და დიპლომატიის ჩარ-

თვის აუცილებლობა; საერთაშორისო თანამშრომლობისა და ნდობის ხელშეწყობა-სახელმწიფოებმა უნდა შექმნან უფრო ძლიერი ორმხრივი და მრავალმხრივი ნდობის მექანიზმები; საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC) და სხვა ტრიბუნალების როლის განმარტება - უფრო მკაფიო განსაზღვრა, თუ როდის შეუძლიათ ICC-ს ან ad hoc ტრიბუნალებს ეროვნული ექსტრადიციის მოთხოვნების ჩანაცვლება, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სისხლის სამართლის

ეფექტურ აღსრულებას; გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ნდობის გაუმჯობესება - მთავრობებმა და საერთაშორისო ინსტიტუტებმა საზოგადოებისთვის ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილებების სამართლებრივი საფუძველი უფრო ღიად უნდა აუხსნან. გამჭვირვალობის გაზრდა ხელს შეუწყობს პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების შესახებ აღქმის გაქარწყლებას და კანონის უზენაესობისადმი ნდობის გაძლიერებას.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გვარამია, მ., 2002. საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებული პირის ექსტრადიცია.
2. მირიანაშვილი, გ., 2022. ადამიანის უფლებათა დაცვის კოლიზიური ევროპული სტანდარტები ექსტრადიციის სფეროში. მერიდიანი.
3. უგრეხელიძე, მ., 2015. შესავალი სიტყვა. სამართალი და მსოფლიო, სპეციალური გამოცემა, 2.
4. Bassiouni, M. Cherif., 2014. International Extradition: United States Law and Practice. Oxford University.
5. Breasted, J., 1952. A History of Egypt from the earliest times to the Persian conquest.
6. Extradition Treaty between Belgium and France, signed at Brussels, 22 November. 1834.
7. Gurney, O.R., the hittites, Extradition Convention between France and Saxony, signed at Dresden.
8. Hessbruegge Jan Arno, 2004. The Historical Development of the Doctrines of Attribution and Due Diligence in International Law, New York University. International Law and Politics (JILP), 36.
9. Shearer, I., 1971. EXTRADITION IN INTERNATIONAL LAW.
10. Stanbrook, I. and Clive, S., 2000. Extradition: Law and Practice. Oxford

University Press.

11. Stat. 302. 1793. The current interstate Extradition Act is codified at 18 U.S.C. § 3182.
12. Warbrick, C., McGoldrick, D., Mackarel, M. and Nash, S., 2008. Extradition and the European Union, Published Cambridge University Press.
13. Wises-Edward, M., 1982. The Political Offence Exception to Extradition: The Delicate Problem of Balancing the Rights of the Individual and the International Public Order. Christine van den Wijngaert, Published by: Oxford University Press, The American Comparative Law, 2.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22/07/1999, # 2287 რს.
2. საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, 21/07/2010, #3541-რს.
3. 18 U.S. Code Chapter 209 – EXTRADITION. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/part-II/chapter-209>> [წვდომის თარიღი 03.04.2025].
4. Article IV section 2 of the U.S. Constitution. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.law.cornell.edu/>

[constitution/articleiv#section2>](#) [წვდომის თარიღი 03.04.2025].

5. Rome Statute Of The International Criminal Court. Adopted in Rome, July 17, 1998. (in English)

ინტერნეტ რესურსები:

1. Joaquin, AAL CAPI, Guzman, Sinaloa, Cartel Leader, Sentenced to Life in Prison Plus 30 Years. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.justice.gov/opa/pr/joaquin-el-chapo-guzman-sinaloa-cartel-leader-sentenced-life-prison-plus-30-years> [წვდომის თარიღი 03.04.2025].
2. Lesaffer Randall, So that Crimes Would Not Go Unpunished: Extradition Treaties in the 18th Century, Oxford Public International Law. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://opil.ouplaw.com/page/Extradition-Treaties-in-the-18th-Century/so-that-crimes-would-not-go-unpunished-extradition-treaties-in-the-18th-century> [წვდომის თარიღი 03.04.2025].
3. The Prosecutor v. Omar Hassan Ahmad Al Bashir. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.aba-icc.org/cases/case/the-prosecutor-v-al-bashir/> [წვდომის თარიღი 03.04.2025].
4. Roman Polanski Cannot Be Extradited To U.S.; Polish Supreme Court's Final Ruling. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://deadline.com/2016/12/roman-polanski-extradition-polish-supreme-court-final-ruling-1201865136/> [წვდომის თარიღი 03.04.2025].
5. The case of Edward Snowden, 2020. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.justice.gov/opa/pr/united-states-obtains-final-judgment-and-permanent-injunction-against-edward-snowden> [წვდომის თარიღი 03.04.2025].
6. The Snowden Effect. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://casestudies.law.harvard.edu/the-snowden-effect/> [წვდომის თარიღი 03.04.2025].

[harvard.edu/the-snowden-effect/>](#) [წვდომის თარიღი 03.04.2025].

7. In the United States District Court for the Eastern district of Virginia. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.justice.gov/d9/press-releases/attachments/2019/04/11/assange_indictment_0_0.pdf [წვდომის თარიღი 03.04.2025].

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Gvaramia, M., 2002. Extradition of a Person Accused of International Crime. (in Georgian)
2. Bassiouni, M. Cherif, 2014. International Extradition: United States Law and Practice. Oxford University. (in English)
3. Breasted, J., 1952. A History of Egypt from the earliest times to the Persian conquest. O.R. Gurney, the hittites. (in English)
4. Extradition Convention between France and Saxony, signed at Dresden, 28 April 1850. (in English)
5. Extradition Treaty between Belgium and France, signed at Brussels, 22 November 1834. (in English)
6. Hessbruegge, Jan Arno., 2004. The Historical Development of the Doctrines of Attribution and Due Diligence in International Law, New York University. International Law and Politics (JILP), Vol. 36. (in English)
7. Mirianashvili, G., 2022. Conflicting European standards of human rights protection in the field of extradition. Meridiani. (in Georgian)
8. SHEARER IVAN A., 1971. EXTRADITION IN INTERNATIONAL LAW. (in English)
9. Stanbrook, I. and Clive, S., 2000. extradition: Law And Practice. Oxford University Press. (in English)
10. Stat 302. 1793. The current interstate

Extradition Act is codified at 18 U.S.C. § 3182. (in English)

11. Ugrekhelidze, M., 2015. Law and the World. Special Edition. 2. (in Georgian)
12. Warbrick, C., McGoldrick, D., Mackarel, M. and Nash, S., 2008. Extradition and the European Union, Published Cambridge University Press. (in English)
13. Wise-Edward, M., 1982. The Political Offence Exception to Extradition: The Delicate Problem of Balancing the Rights of the Individual and the International Public Order Christine van den Wijngaert, Published by: Oxford University Press, The American Comparative Law, 2. (in English)

Normative Materials:

1. Article IV. section 2 of the U.S. Constitution [Online] available: <https://www.law.cornell.edu/constitution/articleiv#section2> [Accessed 03.04.2025]. (in English)
2. Criminal Code of Georgia, 22/07/1999, #2287 RS (in Georgian)
3. Law of Georgia on international Cooperation in Criminal Justice. 21/07/2010, #3541–RS (in Georgian)
4. Rome Statute Of The International Criminal Court. Done at Rome, this 17th day of July 1998. (in English)
5. U.S. Code Chapter 209 – EXTRADITION. [Online] available: <https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/part-II/chapter-209> [Accessed 03.04.2025]. (in English)

Internet Resources:

1. Joaquin, AAL CAPI, Guzman, Sinaloa Cartel Leader, Sentenced to Life in Prison Plus 30 Years. [Online] available:

<https://www.justice.gov/opa/pr/joaquin-el-chapo-guzman-sinaloa-cartel-leader-sentenced-life-prison-plus-30-years> [Accessed 03.04.2025]. (in English)

2. Lesaffer Randall, So that Crimes Would Not Go Unpunished: Extradition Treaties in the 18th Century, Oxford Public International Law. [Online] available: <https://opil.ouplaw.com/page/Extradition-Treaties-<in-the-18th-Century/>so-that-crimes-would-not-go-unpunished-extradition-treaties-in-the-18th-century> [Accessed 03.04.2025]. (in English)
3. Roman Polanski Cannot Be Extradited To U.S.; Polish Supreme Court's Final Ruling. [Online] available: <https://deadline.com/2016/12/roman-polanski-extradition-polish-supreme-court-final-ruling-1201865136/> [Accessed 03.04.2025]. (in English)
4. The case of Edward Snowden, 2020. [Online] available: <https://www.justice.gov/opa/pr/united-states-obtains-final-judgment-and-permanent-injunction-against-edward-snowden> [Accessed 03.04.2025]. (in English)
5. The Prosecutor v. Omar Hassan Ahmad Al Bashir. [Online] available: <https://www.aba-icc.org/cases/case/the-prosecutor-v-al-bashir/> [Accessed 03.04.2025]. (in English)
6. The Snowden Effect, [Online] available: <https://casestudies.law.harvard.edu/the-snowden-effect/> [Accessed 03.04.2025]. (in English)
7. In the United states District Court For the Eastern District of Virginia. [Online] available: <https://www.justice.gov/> [Accessed 03.04.2025]. (in English)

სამართლის მაცნე HERALD OF LAW

07/2025

#11

სამართლის მეცნიერთა კავშირის
საერთაშორისო სამეცნიერო
რეფერირებადი და რეცენზირებადი
ჟურნალი

International refereed and
peer-reviewed Scientific Journal
of the Union of Law Scientists

E ISSN 2667-9434

www.heraldoflaw.com

Email: info@heraldoflaw.com